პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

ხუთშაბათი, 5 აპრილი, 1951 წ. № 80 (8934). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია:

ღრმად ავსახოთ საბჭოთა სინამდვილე მხატვრულ ლიტერატურაში — მოწინავე (1-ლი გვერდი).
საქართველო — კომუნიზმის დიად მშენებლობებს (1-ლი გვერდი).
საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება (1-ლი გვერდი).
მისალმებათა ნაკადი (მე-2 გვერდი).
სტალინის სახელით წინ, ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ! (მე-2 გვერდი).
სრულყოფილად გვიჩვენეთ ახალი თბილისი, მისი ინდუსტრია, მისი ადამიანები! (მე-2 გვერდი).
ტ. თოდრაძე — ხორბლის მოყვანის გადიდებისათვის (მე-3 გვერდი).
 დ. ამირანიძე — ორთაჭალჰესის მშენებელთა წარმატებები (მე-3 გვერდი).
აკ. ჩავლეიშვილი — ფილიპინელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის (მე-3 გვერდი).
ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა წინასწარი თათბირი (მე-4 გვერდი).
კორეის ამბები (მე-4 გვერდი).
გაიხსნა იტალიის კომუნისტური პარტიის VII ყრილობა (მე-4 გვერდი).

ღრმად ავსახოთ საბჭოთა სინამდვილე მხატვრულ ლიტერატურაში

საბჭოთა ლიტერატურა მსოფლიოში ყველაზე იდეური, ყველაზე მოწინავე ლიტერატურაა. მისი დანიშნულებაა ემსახუროს კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს. საბჭოთა ლიტერატურას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა, სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებისა.

საქართველოს საბჭოთა ლიტერატურა მთელ საბჭოთა ლიტერატურასთან ერთად განუხრელად ვითარდება. ქართველი მწერლების მთელი რიგი ახალი ლექსები, პოემები, რომანები, მოთხრობები, პიესები ასახავენ მოწინავე საბჭოთა ადამიანების პატრიოტულ საქმეებს, გვიჩვენებენ საბჭოთა ადამიანის ხასიათის საუკეთესო თვისებებს. ქართველი მწერლები უმღერიან საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითს შრომას, მათს თავდადებულ ბრძოლას მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის, რეალისტურად ასახავენ ცხოვრებას, აქტიურად ემსახურებიან მასების კომუნისტური აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

ქართული საბჭოთა მწერლობის აღმავლობამ გამოხატულება ჰპოვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამას წინათ გამოქვეყნებულ დადგენილებაში თვალსაჩინო ლიტერატურული ნაშრომებისათვის სტალინური პრემიების მინიჭების შესახებ. როგორც ცნობილია, ამ დადგენილებით მაღალი შეფასება მიიღეს პოეტ გრიგოლ აბაშიძის ლექსების ციკლმა „ლენინი სამგორში" და „სამხრეთის საზღვარზე", მწერალ ალექსანდრე ჩეიშვილის თანამედროვე თემაზე დაწერილმა რომანმა „ლელომ" და დრამატურგ იოო მოსაშვილის პიესამ „ჩაძირული ქვები".

მიუხედავად მნიშვნელოვანი წარმატებებისა, ქართული საბჭოთა მწერლობა ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ასახავს ჩვენი ხალხის მრავალფეროვან ცხოვრებას. საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ამხანაგი კანდიდ ჩარკვიანი აღნიშნავდა: „ომის შემდგომ ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მომხდარი უდიდესი გარდატეხა ჯერ კიდევ არ გამხდარა მწერლობისათვის შემოქმედებითი წარმოსახვის საგანი".

სერიოზულად ჩამორჩება ლიტერატურის მთავარი ჟანრი — ქართული მხატვრული პროზა. ჩვენი ხალხის დიდი წარმატებანი, საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომა კომუნიზმის გამარჯვებისათვის სათანადოდ ვერ არის ასახული ქართველი მწერლების მოთხრობებსა და რომანებში. ეს იმის შედეგია, რომ მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატები კარგად არ იცნობენ თავიანთი შემოქმედების დაუშრეტელ წყაროს — საწარმოებს, კოლმეურნეობებს, ახალ ადამიანებს, მათს ხასიათს, კულტურას, ყოფაცხოვრებას. ქართული პროზის ჩამორჩენა იმის შედეგიცაა, რომ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა და ძველი თაობის ნიჭიერი პროზაიკოსები სათანადო დახმარებას ვერ უწევენ ახალგაზრდა მწერლებს. ამის გამო მწერლობის ახალი კადრები მეტად ნელა იზრდებიან.

„ლიტერატურის ისტორიამ იცის იმის მრავალი მაგალითი, — წერდა „პრავდა" მოწინავე სტატიაში, — რომ ოსტატის რჩევა და მითითება წყვეტდა მომავალი მწერლის ბედს, ხელს უწყობდა ახალი ტალანტის წარმოშობას ხალხისათვის. ძნელად თუ მოიძებნება უფროსი თაობის ამჟამად ცნობილი საბჭოთა მწერალი, რომლის შემოქმედება თავის დროზე არ წარიმართოს გორკის მზრუნველ ხელს. რა ყურადღებით არჩევდა იგი ახალგაზრდების ნაწარმოებებს, რამდენ დროს და გულმოდგინე შრომას ანდომებდა დამწყებ ლიტერატორთა აღზრდას! საჭიროა ყოველნაირად განვაგრძოთ და განვავითაროთ ახალგაზრდა ლიტერატურული კადრების აღზრდის გორკის ტრადიცია".

აქედან სათანადო დასკვნა უნდა გააკეთონ ჩვენმა გამოჩენილმა მწერლებმა.

ჯერ კიდევ სერიოზულად ჩამორჩება ლიტერატურული კრიტიკა. იგი დროულად ვერ ეხმაურება ახალ ნაწარმოებებს და ვერ აშუქებს ჩვენი მწერლობის განვითარების მთავარ საკითხებს. ქართული საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკის დიდი ნაკლია, რომ მასში ძალიან ცოტას ვხვდებით განმაზოგადებელ სტატიებს. თუ გადავხედავთ 1950 წლის ჟურნალ „მნათობის" ნომრებს, დავინახავთ, რომ ერთი წლის მანძილზე ამ ჟურნალში მოთავსებულია სულ ორი სტატია და სამი ბიბლიოგრაფია პროზაულ ნაწარმოებებზე. ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში იშვიათია ისეთი კრიტიკული სტატიები, რომლებიც გაბედულად უჭერდნენ მხარს ლიტერატურაში ახალს, მოწინავეს, ბოლშევიკურად ამჟღავნებდნენ ნაკლოვანებებს, ხელს უწყობდნენ პოეტებისა და პროზაიკოსების იდეურ და მხატვრულ ზრდას.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ მკითხველთა კონფერენციის ანგარიშს, რომელიც მოეწყო თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში. მკითხველთა კონფერენციამ განიხილა მნიშვნელოვანი საკითხი: „თანამედროვე თბილისი ქართულ პოეზიაში". სავსებით სამართლიანად აღნიშნეს მკითხველებმა რომ ახალი თბილისი, მისი მშენებელი ადამიანები ჯერ კიდევ არ არიან სათანადოდ ნაჩვენები თანამედროვე ქართველი მწერლების შემოქმედებაში, რომ ზოგიერთი პოეტი ღრმად ვერ სწვდება თანამედროვეობას, არა აქვს მჭიდრო ურთიერთობა საწარმოებთან, მშენებლობებთან, ადამიანებთან და ამიტომაც ქალაქის წარსულს უფრო კარგად ასახავს, ვიდრე ახალ თბილისს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა დღემდე სერიოზულად არ დაინტერესებულა მწერალთა და საწარმოთა შორის ურთიერთკავშირის განმტკიცების საკითხით. არ ეწყობა მწერლების საქმიანი შეხვედრები ადამიანებთან, ახალი ნაწარმოების განხილვა მუშებთან, ინტელიგენციასთან, ამა თუ იმ ნაწარმოების შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

„ჩვენი ხალხი ყოველდღე სულ უფრო და უფრო მაღლა იწევს, — ამბობდა ა. ა. ჟდანოვი. — ჩვენ დღეს ის არა ვართ, რაც გუშინ ვიყავით, და ხვალ ის არ ვიქნებით, რაც დღეს ვართ... ჩვენ გამოვიცვალეთ და გავიზარდეთ იმ უდიდეს გარდაქმნებთან ერთად, რომლებმაც ძირფესვიანად შეცვალეს ჩვენი ქვეყნის სახე".

საბჭოთა მწერალმა ჩვენს მკითხველებს უნდა უჩვენოს არა მხოლოდ დღევანდელი დღე, არამედ ხვალინდელ დღეშიც უნდა ჩაიხედოს. სოციალისტური რეალიზმის მეთოდი მოითხოვს ვუჩვენოთ სინამდვილე არა სტატიკურად, უძრავად, არამედ მის რევოლუციურ განვითარებაში, მუდმივ წინსვლაში, მაშასადამე, ვუჩვენოთ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის ხვალინდელი დღე. საჭიროა მწერალი კეთილსინდისიერად და ყურადღებით სწავლობდეს ჩვენს სინამდვილეს, ღრმად სწვდებოდეს საბჭოთა ქვეყნის განვითარების პროცესების არსს, მჭიდროდ უკავშირდებოდეს ადამიანებს, გულდასმით სწავლობდეს მათს ხასიათს, ავლინებდეს საბჭოთა ადამიანის საუკეთესო თვისებებსა და გრძნობებს. მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი მწერალმა შექმნას მაღალიდეური ნაწარმოები, რომელიც დაეხმარება პარტიას, სახელმწიფოს აღზარდონ ჩვენი ახალგაზრდობა საბჭოთა წყობილებისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, ჩაუნერგონ მათ სიმხნე, თავისი ძალების რწმენა, ხალხის ინტერესებისადმი თავდადება, ყოველგვარი სიძნელის გადალახვის უნარი.

ეჭვი არ არის, ლენინ-სტალინის დიდი პარტიის ყოველდღიური მზრუნველობით გარემოსილი ქართული საბჭოთა მწერლობა, რომელმაც დიად სტალინურ ეპოქას მრავალი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები მიუძღვნა, სახელოვნად ასახავს ჩვენი ქვეყნის მშენებელთა სოციალისტურ შრომას, ღრმად გააცნობს ფართო მკითხველს იმ ადამიანებს, რომლებიც ასე თავდადებულად შრომობენ კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

საქართველო — კომუნიზმის დიად მშენებლობებს

* * *

ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერთა წვლილი

სტალინური ხუთწლედების პერიოდში საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებებმა და სამშენებლო ორგანიზაციებმა დიდი გამოცდილება შეიძინეს ენერგეტიკის, მელიორაციის, ჰიდროტექნიკისა და მშენებლობის დარგში. ამ გამოცდილებას ისინი ხალისით უზიარებენ მდინარე ვოლგაზე, თურქმენეთში, სამხრეთ უკრაინასა და ჩრდილოეთ ყირიმში გაჩაღებულ კომუნიზმის დიად მშენებლობათა კოლექტივებს და ცდილობენ ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომით თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ უმაგალითო მასშტაბის მშენებლობებში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან შექმნილია კომუნიზმის დიად მშენებლობათა ხელისშემწყობი რესპუბლიკური კომიტეტი. უახლოესი 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის კომიტეტმა შეიმუშავა გეგმა. იგი ითვალისწინებს მრავალი ისეთი საკითხების შესწავლას და გადაჭრას, რომლებსაც უაღრესად აქტუალური მნიშვნელობა აქვს კომუნიზმის დიად ნაგებობათა დაპროექტებისა და მშენებლობისათვის. ამ გეგმის შესაბამისად სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხელმძღვანელობისათვის რესპუბლიკურმა კომიტეტმა შექმნა 5 სამეცნიერო სექცია: ენერგეტიკის, მელიორაციის, ჰიდროტექნიკის, საწარმოო ძალთა და სამშენებლო. თავის გარშემო სექციებმა მოწინავე სამეცნიერო ძალები შემოიკრიბეს და ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა გააჩაღეს.

ენერგეტიკის სამეცნიერო სექციაში

ენერგეტიკის სამეცნიერო სექციამ თავის გეგმაში შეიტანა ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ენერგეტიკულ სისტემათა გაერთიანებისა და ვოლგის ენერგეტიკულ სისტემასთან დაკავშირების საკითხი. აქვე სწავლობენ ჰიდროელექტროსადგურების რაციონალური დაპროექტებისა და ექსპლოატაციის, სოფლის მეურნეობაში ელექტროენერგიის უფრო ეფექტიანად გამოყენების პრობლემებს. პროფესორ ნ. გაბაშვილის ხელმძღვანელობით მეცნიერი მუშაკები ქ. დიდებულიძე, ვ. ბარო და გ. ხუნდაძე მუშაობენ ენერგეტიკულ სისტემაში სიხშირის და გაცვლის სიმძლავრის ავტომატური რეგულირების საკითხზე. მეცნიერთა ჯგუფმა უკვე შეიმუშავა სიხშირის რეგულირების ახალი მეთოდი, შექმნა სიხშირის ავტომატური რეგულატორი, რომლის ლაბორატორიულმა შემოწმებამ საუკეთესო შედეგი უჩვენა. ეს რეგულატორი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ვოლგისა და სხვა დიდ ენერგოსისტემებში.

სტალინური პრემიის ლაურეატის პროფესორ მ. მოსტკოვის ხელმძღვანელობით მეცნიერი მუშაკი ო. ყანჩაველი მუშაობს კასკადური რეგულირების საკითხზე. მას განზრახული აქვს გამოიკვლიოს წყალსაცავში წყლის მოცულობის ცვალებადობის საკითხები დინებისა და ქვედა ბიეფის ცვალებადი მნიშვნელობის დროს. ეს ნაშრომი გამოყენებულ იქნება მარეგულირებელი კასკადების დაპროექტებისას საქართველოში და მდინარე ვოლგაზე. ამჟამად ო. ყანჩაველმა უკვე შეიმუშავა ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრისა და გამომუშავების გამოთვლის ანალიზური მეთოდი.

აკადემიკოს ა. დიდებულიძის ხელმძღვანელობით ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი პ. შენგელია სწავლობს ხელოვნური წვიმების ენერგეტიკას დიდი მასივების მორწყვის პირობებში. შრომის კონკრეტული დასკვნები გამოყენებული იქნება სამგორში ხელოვნური წვიმების დაგეგმვის დროს, ხოლო მეთოდოლოგიური შედეგები შეიძლება გამოიყენონ კასპიისპირა, ვოლგისპირა და ახალი ჰიდროკვანძების სხვა რაიონების ხელოვნური წვიმების დაგეგმვისათვის.

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ზ. მოდებაძე იკვლევს ჰიდრავლიკური დარტყმების საკითხს მოძრავფრთიანი ტურბინების გამოყენების დროს. ამ საკითხის შესწავლას არსებითი მნიშვნელობა აქვს საშუალო და დაბალი წნევის ჰიდროელექტროსადგურებისათვის და კერძოდ ვოლგის ჰიდროელექტროსადგურებისათვის. ზ. მოდებაძემ უკვე გააკეთა მოძრავფრთიანი ტურბინის მრუდების ანალიზი.

სამშენებლო-სამეცნიერო სექციაში

სამშენებლო-სამეცნიერო სექციამ მჭიდრო კავშირი დაამყარა თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლებთან, რასაც იმანაც შეუწყო ხელი, რომ ამ სექციის მრავალი მეცნიერი მუშაკი მრავალი წლის ერთად მუშაობით არის დაკავშირებული თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობის მთავარ ინჟინერთან ბესარიონ ერისთავთან.

მიმოწერის საშუალებით სამეცნიერო სექციამ დააზუსტა, თუ რა საქმეში სჭირდებათ პირველ რიგში დახმარება დიად მშენებლობათა კოლექტივებს, და ამის მიხედვით შეიმუშავა სამუშაო პროგრამა. სექციამ დაისახა სამი ამოცანა: საქართველოს მშენებელ-ნოვატორთა მდიდარი გამოცდილების გაცნობა კომუნიზმის დიად მშენებლობათა კოლექტივებისათვის; ამ მშენებლობებში პრაქტიკული მონაწილეობის მიღება ადგილებზე სპეციალისტთა ჯგუფების გაგზავნით და იმ საკითხებზე ფართო საკვლევაძიებო მუშაობის შესრულება, რაც ამ დიად ნაგებობათა მშენებლებს აინტერესებთ.

გამოცდილების გაზიარების მიზნით სამეცნიერო სექციამ შეარჩია საქართველოს მშენებელ-ნოვატორთა რაციონალიზატორული წინადადებანი და რუსულ ენაზე გამოსცა ამ წინადადებათა კრებული 2.000 ეგზემპლარის რაოდენობით. გარდა ამისა, შეადგინეს სეისმომედეგი კონსტრუქციების ალბომი, შიგ შეიტანეს საქართველოს მშენებელ-ნოვატორთა მიერ შექმნილი ისეთი რაციონალური სეისმომედეგი კონსტრუქციები, რომელთა გამოყენება უზრუნველყოფს ნაგებობათა უშიშროებას მიწისძვრის დროს და მეტად საჭიროა თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობის სეისმურ რაიონებში. შემუშავებულია აგრეთვე ელექტროგადამცემი ხაზის რკინა-ბეტონის ანძების და საყრდენების ინდუსტრიული მეთოდით დამზადების ინსტრუქცია. როგორც კრებული, ისე ალბომი და ინსტრუქცია გადაეგზავნებათ კომუნიზმის დიად მშენებლობათა კოლექტივებს.

თურქმენეთის მთავარი არხი უმეტეს წილად გაივლის იმ ტერიტორიაზე, სადაც ხშირია მიწისძვრები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტმა გადაწყვიტა გამოიკვლიოს მიწისძვრის დამახასიათებელი სიმძლავრე ამ ტერიტორიის ცალკეულ პუნქტებში. ამ საკითხზე ინსტიტუტს მიმოწერა ჰქონდა თურქმენეთის მთავარი არხის მთავარ ინჟინერ ბესარიონ ერისთავთან, რის შედეგადაც შემუშავებულია ამ სამუშაოს შესრულების გეგმა. აპრილის პირველ დეკადაში ინსტიტუტის ორი მეცნიერი თანამშრომელი გაემგზავრება ქ. ნუკუსში მშენებლობის ადგილზე მიკროსეისმური დარაიონების ჩასატარებლად.

გარდა ამისა, საქართველოს მშენებელთა საზოგადოება დიდ დახმარებას უწევს კომუნიზმის გრანდიოზულ მშენებლობათა კოლექტივებს საყრდენი კედლის, გათხურვა „დარბაზის", შეაფრული თილების და სხვა რაციონალური შემსუბუქებული კონსტრუქციების დანერგვის საქმეში.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს სხვა სექციების ხაზითაც.

საპატიო დაკვეთები ვადამდე შეასრულეს

კუიბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურების, ვოლგა-დონის სანაოსნო არხისა და თურქმენეთის მთავარი არხის მშენებელთა მისამართებით შარშან თბილისიდან ვადაზე ადრე გაგზავნეს ქარხანა „დაზგაში" დამზადებული ახალი, გაუმჯობესებული ტიპის ხრახნსაჭრელი 10 დაზგა.

წელს ასეთივე ტიპის დაზგების დამზადების ახალი დაკვეთა მიიღეს დაზგათმშენებლებმა. მათ შეასრულეს ეს დაკვეთაც. ვოლგა-დონის სანაოსნო არხისა და კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებს გაუგზავნეს საუკეთესო დაზგების ახალი პარტია.

საპატიო დაკვეთებზე მუშაობამ გამოავლინა შრომის ახალი ენთუზიასტები. ახალგაზრდა ჩქაროსანმა მღარავმა ამირან ქუმსიაშვილმა თებერვალსა და მარტში ხუთი თვის ნორმა გამოიმუშავა. ასევე დაწინაურდნენ მღებავები მ. ფირანაშვილი და ი. მძინარაშვილი, ხოლო სახელოვანი ამწყობი ზეინკალი ს. გეჯაძე ყოველდღიურ გეგმას ხუთმაგად ასრულებს.

მაღალნაყოფიერად მუშაობს მექანიკური საამქრო (უფროსი კ. ალანია), რომელიც უკვე მეორე კვარტალია საქარხნო გარდამავალ დროშას ინარჩუნებს. შეჯიბრებაში დაწინაურდა აგრეთვე ამწყობი საამქრო (უფროსი გ. ვაჩაძე).

დაზგათმშენებლებმა ამოცანად დაისახეს საპირველმაისოდ გეგმის გადამეტებით გამოუშვან რამდენიმე დაზგა.

1951 წლის საკავშირო სამხატვრო გამოფენა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა გადაწყვიტა მოაწყოს ფერწერის, სკულპტურის, გრაფიკისა და პოლიტიკური პლაკატის 1951 წლის საკავშირო მხატვრული გამოფენა. საკავშირო გამოფენამდე მხატვრული გამოფენები მოეწყობა მოკავშირე რესპუბლიკებში.

საკავშირო გამოფენის მოსაწყობად შეიქმნა კომიტეტი, რომელშიც შედიან წამყვანი მხატვრები და ხელოვნებათმცოდნეები. (საკდესი).

ქორინის საჭრისი

სტალინგრადი, 3 აპრილი (საკდესი). [illegible]

კომუნიზმის მშენებლობებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო საზოგადოების პლენუმი

ზაპოროჟიე, 3 აპრილი. (საკდესი). გუშინ საღამოს დნეპრმშენის კულტურის სასახლეში გაიხსნა კომუნიზმის დიადი მშენებლობებისადმი მიძღვნილი ენერგეტიკოსთა საკავშირო სამეცნიერო საინჟინრო-ტექნიკური საზოგადოების გამსვლელი პლენუმი. პლენუმში მონაწილეობას იღებენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, თბილისის, ბაქოს, უფის, სარატოვისა და სხვა ქალაქების მეცნიერი მუშაკები.

მოხსენება თემაზე — „სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხების მშენებლობა და ენერგიით მათი მომარაგება" — გააკეთა „უკრჰიდროსტროის" მთავარმა ინჟინერმა ვ. ნ. სინაკოვმა. მან მოიყვანა მთელი რიგი საინტერესო ცნობები მორწყული მიწების მოსავლიანობის შესახებ. ბრილევის სარწყავი სადგური ხერსონის ოლქში სარწყავი ნაკვეთების თვითეულ ჰექტარზე იღებს 37 ცენტნერ ბამბას, 50 ცენტნერამდე ხორბალს და სხვა კულტურების უხვ მოსავალს. ორი მძლავრი არხის საშუალებით მშრალი მიწების მორწყვა უდიდეს სიმდიდრეს შექმნის.

აკიმოვის რაიონის ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა გამოიანგარიშეს, რომ მათი კოლმეურნეობის შემოსავალი 5-6-ჯერ გადიდდება, ხოლო შრომადღის ღირებულება ფულადი გამოხატულებით თითქმის 20 მანეთს მიაღწევს.

არხების მშენებლობაზე გამოყენებულ იქნება ახალი მძლავრი საბჭოთა ტექნიკა. სამუშაოთა მეტი ნაწილი ელექტროფიცირებულ უნდა იქნას. ენერგიის მომარაგების წყარო იქნება ლენინის სახელობის დნეპრჰესი და ყირიმის თბოელექტროსადგურები.

მიმდინარე წელს დაიწყება ელექტროგადამცემი მაღალვოლტიანი ხაზების მშენებლობა. განმანაწილებელი ქსელი შეადგენს დაახლოებით 4,5 ათას კილომეტრ ელექტროხაზს.

გუშინ მოსმენილ იქნა აგრეთვე მოხსენება საზოგადოების გამგეობის 1950 წლის მუშაობის შედეგების შესახებ. დღეს დილით დაიწყო კამათი მოხსენებათა გამო.

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

ათასობით ტონა ზეგეგმითი ქვანახშირი

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულქვანახშირის ტრესტის კოლექტივმა წარმატებით იმუშავა მარტში და უზრუნველყო ქვანახშირის ამოღების როგორც თვიური, ისე პირველი კვარტალის გეგმის შესრულება. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით, ქვანახშირის ამოღება მთლიანად ტრესტში 36,6 პროცენტით გაიზარდა.

ყველას გაუსწრო საპირველმაისო შეჯიბრების ინიციატორმა — ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა, რომელმაც მარტის გეგმა 17,8 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა.

მარტის გეგმები დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს სტალინის სახელობის, მოლოტოვის სახელობის და გელათის შახტებმა. სტალინის სახელობის შახტში საპირველმაისო შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევენ პ. ნანიკაშვილის უბნის მეშახტეები, რომლებმაც მარტის დავალებას 23,2 პროცენტით გადააჭარბეს. უბანში ფართოდ დაინერგა ამხ. ნანიკაშვილის მიერ შემუშავებული ლავის ორივე მხრიდან დამუშავების მეთოდი, რაც დიდად ზრდის შრომის ნაყოფიერებას. ლენინის სახელობის შახტში პირველ ადგილზეა პირველი უბნის კოლექტივი, რომელმაც მარტის გეგმა 133,3 პროცენტით გაანაღდა.

დაეუფლნენ ნარჩინებულ ფეიქართა მუშაობის მეთოდებს

საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კოლექტივმა თვალსაჩინო მიღწევები მოიპოვა: მარტის დავალება 118,8 პროცენტით შეასრულა, გეგმის გადამეტებით 37 ათასი მეტრი მზა ქსოვილი გამოუშვა და შრომის ნაყოფიერება 9,3 [illegible]

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგ მ. თ. ვლადიმირსკის ხსოვნის უკვდავყოფისა და მისი ოჯახის უზრუნველყოფის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა:

1. ამხანაგ მ. თ. ვლადიმირსკის სახელი მიეკუთვნოს რუსეთის სფსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მოსკოვის საოლქო კლინიკურ ინსტიტუტს.

2. მიეცეს ამხანაგ მ. თ. ვლადიმირსკის მეუღლეს ლიდია სერგის ასულ ვლადიმირსკაიას ერთდროული დახმარება 50 ათასი მანეთის რაოდენობით.

3. დაუწესდეს ამხანაგ მ. თ. ვლადიმირსკის ოჯახს პერსონალური პენსიები:

ა) მეუღლეს — ლიდია სერგის ასულ ვლადიმირსკაიას 2 ათასი მანეთის რაოდენობით თვეში სამუდამოდ;

ბ) დას — ელისაბედ თევდორეს ასულ პოპოვას — 750 მანეთის რაოდენობით თვეში სამუდამოდ.

4. ამხანაგ მ. თ. ვლადიმირსკის დაკრძალვა მოხდეს სახელმწიფოს ხარჯზე.

მისალმებათა ნაკადი

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით მისალმებანი გამოგზავნეს და ამხანაგ სტალინს გულითადად უსურვეს ჯანმრთელობა და მრავალ წელს სიცოცხლე:

კურსკის ოლქის პონირის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

პენზის ოლქის ნიკოლო-პესტრავის რაიონის ჩკალოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

მორდვეთის ასსრ ტემნიკოვის რაიონის საბავშვო სახლებისა და საბავშვო ბაღების მასწავლებლებმა და აღმზრდელებმა;

კურსკის ოლქის სტრელეცკის რაიონის კოლმეურნეობა „8 მარტის" წევრებმა;

პენზის ოლქის დანილოვის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი კლიჩის" წევრებმა;

ქ. ვილნიუსის სტალინის სახელობის № 8 შვიდწლიანი სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა, კომკავშირულმა ორგანიზაციამ, პიონერულმა ორგანიზაციამ, ყველა მოსწავლემ;

თათრეთის ასსრ აქსუბაევის რაიონის სოფელ აქსუბაევოს მუშა-მოსამსახურეებმა, კოლმეურნეებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა და ინტელიგენციამ;

კრასნოდარის მხარის სტალინის (სასოფლო) რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „უდარნიკის" წევრებმა;

კურსკის ოლქის გლუშკოვის რაიონის კოლმეურნეობა „ბორეც რევოლუციის" წევრებმა;

ზაპოროჟიეს საბჭოთა მეურნეობების საოლქო ტრესტის მუშებმა, სპეციალისტებმა და მოსამსახურეებმა;

ნოვგოროდის ოლქის მშრომელთა დეპუტატების მთს-ის რაიონული საბჭოს საზეიმო სხდომის მონაწილეებმა;

ტამბოვის ოლქის რჟაქსის რაიონის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

[illegible]

ჩერნიგოვის ოლქის კოზელეცკის რაიონის მშრომელებმა;

ბრესტის ოლქის რუჟანსკის რაიონის საბჭოთა ბელორუსიის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

ბრესტის ოლქის რუჟანსკის რაიონის კიროვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

[illegible]

როსტოვის ოლქის დუბოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „პუტ ილიჩას" წევრებმა;

სტალინგრადის ოლქის ნიჟნე დობრინკის რაიონის კოლმეურნეობა „ნოვი პუტის" წევრებმა;

ბრესტის ოლქის ჟაბინკის რაიონის კოლმეურნეობა „უროჟაის" წევრებმა;

როსტოვის ოლქის მიჩეტინსკაიას რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა.

(გაგრძელება იქნება)

50.000 ძირი ციტრუსის ნერგი გეგმის გადამეტებით

მახარაძე. (საკ. კორ.). ციტრუსების ურეკის სახელმწიფო სანერგე, რომელსაც ციტრუსოვანთა მყნობის ცნობილი ოსტატი ამხ. შ. გოგუაძე ხელმძღვანელობს, 102 ჰექტარზეა გაშენებული. აქ დაიწყო და მიმდინარეობს 1950-1951 წლების ზამთარში უნაკლოდ გამოზამთრებული 230.000 ძირი მაღალხარისხოვანი ციტრუსოვანთა ნერგის გაცემა. ურეკელი მეციტრუსეები განსაკუთრებით უვლიდნენ მოძმე უკრაინელთათვის გასაგზავნად განკუთვნილ 80.000 ძირ ლიმონის ნერგს.

სანერგეში გაცხოველებული მუშაობაა. პირველ აგროგანყოფილებაში მიმდინარეობს ტრიფოლიატის პიკირება.

მეორე აგროგანყოფილებაში წარმოებს სანერგისათვის 14 ჰექტარი ახალი ფართობის ათვისება. ამ მიზნით აღდგენილია ძველი წყალგამტარი არხები 6.000 მეტრზე, მთელი ფართობი შემოღობილი და სათანადოდ დამუშავებულია.

მეურნეობა აგებს ერთ 8-ბინიან და ორ 3-ბინიან კაპიტალურ შენობებს, განზრახულია სასმელი წყლის გაყვანა.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მონაწილეთა მიმართვის პასუხად სანერგის კოლექტივმა იკისრა 10 დღით ადრე დაამთავროს ტრიფოლიატის პიკირება, მიაღწიოს ციტრუსოვანთა ნამყენის 95 პროცენტის გახარებას, სანიმუშოდ გამოაზამთროს ნერგები, ფართოდ გაავრცელოს მოწინავე მყნობელთა გამოცდილება, ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცეს 50.000 ძირი ციტრუსოვანთა ნერგი.

მექანიზატორები ამ დღეებში

სტალინირი. (საკ. კორ.). საკოლმეურნეო მინდვრებზე წელს ჩვეულებრივზე ადრე მომზადებული გავიდნენ მექანიზატორები. ქსუისისა და სტალინირის მტს-ების მექანიზატორები სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში, რათა ახალი წარმატებებით შეხვდნენ პირველი მაისის დღესასწაულს.

ქსუისის მტს-ის ორი სატრაქტორო ბრიგადა მომსახურებას უწევს ლენინგორის რაიონის კოლმეურნეობებს. წელს გაიდიდა მათი სამუშაოთა მოცულობა. ისინი პირველად უწევენ მომსახურებას მთის ზონის კოლმეურნეობებს სალბიერს, ახმაჯს.

მას შემდეგ, რაც სტალინირის მტს-ის კოლექტივმა უხვი მოსავლის მისაღებად სოციალისტურ შეჯიბრებაში ქსუისელ მექანიზატორთა გამოწვევა მიიღო, იმატა შრომის ნაყოფიერებამ.

გამსხვილებულ კოლმეურნეობაში

ცხაკაია. (საკ. კორ.). სოფელ ბეთლემის კოლმეურნეობები „წითელი ოქტომბერი" და „კოლექტივიზაციის დღე" მარცვლეულის მეტად დაბალ მოსავალს იღებდნენ.

შარშან მაისში კოლმეურნეთა სურვილით ეს კოლმეურნეობები გაერთიანდნენ ერთ კოლმეურნეობად. კოლმეურნეობას ეწოდა მიხა ცხაკაიას სახელი. გამსხვილებამ ადმინისტრაციულ-მომსახურე პერსონალი შეამცირა 9 ერთეულით, რომელთა შენახვაზე წლიურად იხარჯებოდა 3.648 შრომადღე. კოლმეურნეებმა თავმჯდომარედ აირჩიეს გამოცდილი მუშაკი დ. დადიანი.

კოლმეურნეობაში საქმე დაწინაურდა. ამჟამად დამთავრებულია ჩაის პლანტაციების დამუშავება და მინერალური სასუქების შეტანა, მალე დაამთავრებენ ჩაის ბუჩქების გასხვლას და ფორმის მიცემას. 6 ჰექტარზე მეტი ვენახი გადაყვანილია შპალერულ სისტემაზე. 163 ჰექტარი, რაც სიმინდის და-[illegible]

სტალინის სახელით წინ, ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ!

კიროვის ოთხგზის ორდენოსანი ქარხნის მშრომელთა მრავალათასოვანი მიტინგი

ლენინგრადი, 3 აპრილი. (საქტესი). 1951 წლის 3 აპრილი კიროვის ოთხგზის ორდენოსანი სახელოვანი ქარხნის ისტორიაში შევა როგორც დაუვიწყარი დღე. დილაადრიან ნარვის კარიბჭესთან რადიომ მოიტანა სასიხარულო ამბავი — საბჭოთა ხალხის საყვარელმა ბელადმა, დიდმა სტალინმა მიულოცა ერთ-ერთი უძველესი ქარხნის კოლექტივს ამ ქარხნის დაარსების 150 წლისთავი და ლენინის ორდენით დაჯილდოება. დიდმა სტალინმა კიროველებს უსურვა შემდგომი წარმატება პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესრულებაში.

სტალინის სახელთან დაკავშირებულია პუტი-[illegible]

[illegible]

გზავნა მამობრივი მისალმება ქარხნის 150 წლისთავთან დაკავშირებით.

ამხ. სმირნოვი აქვეყნებს მისასალმებელი დეპეშის ტექსტს. გაისმის მრავალათასოვანი „ვაშა" მშობლიური და საყვარელი ბელადის, მშვიდობის მედროშის დიდი სტალინის პატივსაცემად.

კიროველთა გრძნობები და ფიქრები, მათი მხურვალე მისწრაფება—განაგრძონ სახელოვანი რევოლუციური და შრომითი ტრადიციები, გამოხატეს მიტინგზე გამოსულმა საწარმოს წარჩინებულმა ადამიანებმა.

ტრიბუნაზე წარმოების ერთ-ერთი უხუცესი მუშაკი, საგლინავი საამქროს უფროსი ოსტატი, [illegible]

სრულყოფილად გვიჩვენეთ ახალი თბილისი, მისი ინდუსტრია, მისი ადამიანები!

(მკითხველთა კონფერენციაზე)

საქართველოს დედაქალაქი თბილისი დღითიდღე იზრდება და მშვენიერდება. სტალინური ხუთწლედების მანძილზე აქ აშენდა ათობით შესანიშნავი საწარმო, გაფართოვდა ქუჩები, მოეწყო მოედნები; გაშენდა ახალი ბაღები და ხეივნები. თბილისი გადაიქცა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მოწინავე ქალაქად.

ქართველი მკითხველი მწერლებისა-[illegible]

[illegible]

ცხულავას, ალექსანდრე აბაშელის, ირაკლი აბაშიძის, კარლო კალაძის, რევაზ მარგიანის და სხვათა ლექსებს თბილისზე.

ყველა ეს ლექსი, ამბობს მომხსენებელი, ფართოდ გავრცელდა ხალხში. ეს ძალიან კარგია. მაგრამ ვიკითხოთ, მთელი სისრულით ჩანს თუ არა ამ ლექსებში თანამედროვე თბილისი? ქართ-[illegible]

[illegible]

— გაიზარდა ჩვენი ახალგაზრდების კულტურული მოთხოვნილება, — თქვა სტახანოველმა მექვაბემ, კომკავშირელმა გიორგი ბალაშვილმა,—ისინი კითხულობენ რომანებს, მოთხრობებს, ლექსებს, სისტემატურად დადიან კინოებში და თეატრებში. სავსებით ბუნებრივია, რომ ისინი ქართველი მწერლებისაგან მოითხოვენ წერონ უფრო მეტი, უფრო [illegible]

[illegible]

მკითხველთა კონფერენცია სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში. სიტყვას ამბობს სტახანოველი მექვაბე გიორგი ბალაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინური პრემიის ლაურეატები

ხორბლის მოყვანის გადიდებისათვის

ამხანაგმა სტალინმა ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს ამოცანად დაუსახა — უახლოეს წლებში უზრუნველყონ საქართველო საკუთარი პურით. მთელი ქართველი ხალხი დაირაზმა ამ დავალების შესასრულებლად. ჩვენში ხორბლის კულტურის განვითარების შესაძლებლობა დიდია. საჭიროა მთლიანად გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახალი მიწების ათვისებას, ხორბლის ახალი ჯიშების გამოყვანას, არსებული ჯიშების სამეურნეო თვისებათა შემდგომ გაუმჯობესებას, მოწინავე აგროტექნიკური ღონისძიებების დანერგვას.

ხორბალი გაცილებით მეტი უნდა დაითესოს, ვიდრე ახლა ითესება, არა მარტო აღმოსავლეთ, არამედ დასავლეთ საქართველოშიც. ამისათვის მთავარია აღმოსავლეთ საქართველოში აგროტექნიკური ღონისძიებებით უზრუნველვყოთ ნიადაგში მეტი ტენის შენარჩუნება; დასავლეთ საქართველოში კი, უმთავრესად დაბლობ ზონაში, უზრუნველვყოთ სინესტის შემცირება და მეტი ტენის მოყვარული ან მეტი ტენის ამტანი ჯიშების შერჩევა.

ხორბალი ნორმალური ტენის მოყვარული მცენარეა. ნიადაგში ზედმეტი ტენის არსებობის შემთხვევაში იგი ადვილად ავადდება სოკოთი, ამცირებს მოსავლიანობას, უარესდება მარცვლის ხარისხიც.

უმთავრესად ამიტომ არის, რომ უკანასკნელ დრომდე დასავლეთ საქართველოში ყველა ნათესი მარცვლეულიდან დაახლოებით 90 პროცენტი სიმინდს უკავია, დაბლობ ზონაში კი — 99,9-მდე პროცენტი.

დასავლეთ საქართველოში ხორბლის კულტურის გავრცელებისათვის განსაკუთრებით ნაყოფიერი მუშაობა გაწეული აჯამეთის საცდელ სადგურში, რომელსაც 1942 წლიდან ხელმძღვანელობს ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მემინდვრეობის ინსტიტუტის დირექტორი ამხ. მ. დალაქიშვილი.

აჯამეთის საცდელ სადგურში ამხ. დალაქიშვილის ხელმძღვანელობით და მონაწილეობით დიდ ფართობზე გამოცდილ იქნა განსაკუთრებით პერსპექტიული და უფრო მოსავლიანი ჯიშები „იფქლი", „ხოტორა", „გრძელთავთავა", „კახური დატოტვილი" და „წითელი თავთუხი" (საგაზაფხულო). მათი მოსავალი გაუმჯობესებულ აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარებით ჰექტარზე ხშირად სიმინდის მოსავლის რაოდენობას აღწევდა.

საცდელმა სადგურმა შეისწავლა და დაადგინა ხორბლისათვის ნიადაგის დამუშავების უფრო ეფექტიანი ხერხები და ვადები, გაპატივების წესები, თესვის ოპტიმალური დრო, ნორმები და სახეები. ამის შედეგად ყოველწლიური მოსავლიანობა ჰექტარზე აყვანილია 15-16 ცენტნერამდე.

ხორბლის მოსავლის აღების შემდეგ განთავისუფლებულ ფართობებზე იმავე წელს ითესებოდა სოია, სიმინდი, მზესუმზირა, კარტოფილი, ესე იგი მეორე მოსავლის მომცემი მცენარეები. მათი მოსავალი ხშირად მეტად თვალსაჩინო იყო. მაგალითად, ხორბლის მოსავლის აღების შემდეგ იმავე წელს ჰექტარზე სოია მიღებულ იქნა 12,1 ცენტნერი, კარტოფილი — 95 ცენტნერი.

აჯამეთის საცდელი სადგურის გამოცდილების მიხედვით ხორბლის კულტურა დასავლეთ საქართველოს ბევრ რაიონში გავრცელდა. ნაცვლად 1940 წლის 300 ჰექტარისა 1950 წელს დასავლეთ საქართველოში დათესილი იყო 6.000 ჰექტარი ხორბალი.

დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში ხორბლის კულტურის დანერგვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ხორბლის თესვა აუმჯობესებს და ადვილებს ნიადაგის მოვლას, ხელს უწყობს ძირითად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დანერგვას, განტვირთავს ბევრ მუშახელს სხვა სამუშაოებზე გამოსაყენებლად. ამის საფუძველზე ხორბლის ნათესი ფართობი დასავლეთ საქართველოში ყოველწლიურად უნდა გადიდდეს და 1957 წელს 70.000 ჰექტარს მიაღწიოს.

გამოცდილება მოწმობს, რომ დასავლეთ საქართველოს დაბლობ ზონაში ათეულ ათასობით ჰექტარი ისეთი ნიადაგია, სადაც სიმინდის მოსავლიანობა ჩვეულებრივად ჰექტარზე 4-5 ცენტნერს არ აღემატება. ეს მცირე მოსავლიანობა უმთავრესად სახნავი ფენის სიმჟავიანობის და უსტრუქტურობის შედეგია. აჯამეთის საცდელ სადგურში ჩატარებულმა ცდებმა გვიჩვენა, რომ ამ მიწების ნაყოფიერება შეიძლება გავადიდოთ ღრმად (50-60 სანტიმეტრზე) მოხვნით. ამით ზევით ამობრუნდება ნიადაგის უფრო ნაყოფიერი ფენა, საფუძვლიანად გაუმჯობესდება მისი ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური თვისებები, მკვეთრად გაიზრდება მოსავლიანობა.

ღრმად მოხნული ნიადაგი შემდგომ წლებში, როცა ჩვეულებრივ სიღრმეზე მოიხვნება, უკეთეს შედეგს იძლევა.

ღრმად მოხნული ნიადაგის მოსავლიანობა განსაკუთრებით იზრდება იმ შემთხვევაში, როცა მას აგარის შაქრის ქარხნის დეფეკაციური ტალახით ანუ შაქრის ჭარხლის ნარჩენებით ვაპოხიერებთ. ამ შემთხვევაში ხორბლის მოსავალი ღრმად მოხნულთან, მაგრამ გაუპატივებელ ნიადაგთან შედარებით საშუალოდ 50 პროცენტით მეტია.

ამჟამად ღრმად ხვნა, რაც რეკომენდებულია აჯამეთის საცდელი სადგურის მიერ, ფართოდ ინერგება დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებში.

ამ დღეებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ამხ. მ. დალაქიშვილს მიენიჭა სტალინური პრემია „ნაშრომებისათვის დასავლეთ საქართველოს დაბლობ ზონაში ხორბლის მოყვანის დარგში, რაც 1949-1950 წლებში გამოქვეყნდა ჟურნალში „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მემინდვრეობის აჯამეთის საცდელი სადგურის შრომები".

ამხ. დალაქიშვილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მემინდვრეობის ინსტიტუტის საშუალებით, რომელიც გარდაბანში 100-ზე მეტ ჰექტარზე აწყობს ცდებს, ხელმძღვანელობს აგრეთვე სიღნაღის, ხაშურის, ახალქალაქის რაიონებში არსებულ დასაყრდენ პუნქტებს და აჯამეთის საცდელ სადგურს. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 5 ოქტომბრის დადგენილების შესაბამისად დამატებით საცდელი სადგური ამჟამად ეწყობა წითელწყაროს რაიონში (შირაქში), საცდელი მინდვრები — ლაგოდეხის, გორის, ახალციხის რაიონებში და კოლხიდაში, ხოლო დასაყრდენი პუნქტები — თელავსა და სამგორში.

უახლოეს პერიოდში კოლმეურნეობები ინსტიტუტიდან მიიღებენ მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენების ახალ წესებს, ფართო საწარმოო გამოცდისათვის კი ხორბლის მთელ რიგ გაუმჯობესებულ ჯიშებს.

ტ. თოდრაძე

სოციალისტური შეჯიბრება ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის

საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეების მიმართვამ დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში.

ცაგერის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მონაწილეებმა განიხილეს რესპუბლიკური თათბირის მიმართვა და იკისრეს მთელი ნათესი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 17 ცენტნერი მარცვლეული, მათ შორის ხორბალი 12 ცენტნერი, სიმინდი 20 ცენტნერი და ღომი 10 ცენტნერი; საშემოდგომო ხორბლის თესვის ნორმის დაზუსტების მიზნით თვითეულ კოლმეურნეობაში 3-5 ჰექტარზე მოაწყონ საწარმოო ცდები გადიდებული ნორმის თესვით; თვითეულ ჰექტარზე უზრუნველყონ 5-6 მილიონი მცენარის შენარჩუნება; ვენახებში გაიტანონ 35 ათასი ტონა ორგანული სასუქი; თვითეულ ჰექტარზე შეინარჩუნონ 40-50 ათასი ტაროს მომცემი სიმინდის მცენარე.

ცაგერელმა კოლმეურნეებმა მიზნად დაისახეს 1.200 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვისააგონ კეთილმოწყობილი ბოსელი, აგრეთვე კარგად მოაწყონ მეღორეობისა და მეფრინველეობის ფერმები. წელს ააგებენ 2 საკოლმეურნეო კანტორას, 6 აბანოს, 2 საკოლმეურნეო კლუბს, ელექტროფიცირებული იქნება 6 სოფელი და სხვ.

კოლმეურნეობებში ბეჯითად მუშაობენ წელს 33 ჰექტარი ახალი ვენახის გასაშენებლად. მეჩხერიანობის ლიკვიდაციის მიზნით გადააწინდებენ 30 ათას ძირ ვაზს, გეგმის გადამეტებით დაამყნობენ 80 ათას ძირ ვაზს და მიაღწევენ ნამყენის 65 პროცენტით გახარებას. მსხმოიარე ვენახის თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 48 ცენტნერის ნაცვლად მიიღებენ 55 ცენტნერ ყურძენს.

ცაგერელებმა ახალი ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე მეხილეობის, კარტოფილის, ღომისა და მეაბრეშუმეობის დარგში და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ამბროლაურის რაიონის კოლმეურნეები.

წულუკიძის რაიონის კოლმეურნეებმა იკისრეს მთელი ნათესი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 17-19 ცენტნერი მარცვლეული, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას, პროდუქტიულობის ამაღლებას და სახელმწიფოსათვის რძის, ხორცისა და სხვა პროდუქტების დროულად ჩაბარებას.

წელს გაზაფხულზე ჩაის პლანტაციას გააშენებენ 50 ჰექტარზე, ხოლო შემოდგომაზე 85 ჰექტარზე. ქარსაცავი ზოლები გაშენდება 9.000 გრძივ მეტრზე, ხოლო ცოცხალი ღობე 5.000 გრძივ მეტრზე. წულუკიძელებმა პირობა დადეს, რომ ჩაის მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 1.156.5 კილოგრამის ნაცვლად მიიღებენ 2 ათას კილოგრამ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს. აბრეშუმის ჭიის თვითეულ კოლოფზე უზრუნველყოფენ 50 კილოგრამი პარკის მიღებას და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარებენ 232 ცენტნერ მაღალხარისხოვან პარკს.

წულუკიძელები ითვალისწინებენ აგრეთვე სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის ფართოდ დანერგვას, მეცხოველეობის, მეხილეობის და მებოსტნეობის დარგში მოსავლიანობის გადიდებას. ისინი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ წყალტუბოს რაიონთან.

ორთაჭალჰესის მშენებლობა. მშენებლები ქვაბანის ამოღრმავებაზე. წინ დგას საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურებული მბურღავი ვ. შიუკაშვილი.
ფოტო ვლ. გინზბურგისა

თბილისის ახალმშენებლობებზე

ორთაჭალჰესის მშენებელთა წარმატებები

შესანიშნავად მუშაობენ ორთაჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლები. ამ დღეებში ისინი შეუდგნენ ქვაბანის გამზადებას, მალე დაიწყებენ მტკვრის კლდოვანი ფსკერის დიდ სიღრმეზე ჩამჯდარი პირველი ბურჯების საფუძველთა დაბეტონებას. ამ ქვაბანში მარტის ბოლოსთვის მათ უკვე ჰქონდათ ამოღებული 10.000 კუბური მეტრი ყამირი და ქვა, ხოლო ამოსაღები დარჩათ 30.000 კუბმეტრი კლდე.

მშენებლებს გადაწყვეტილი აქვთ ივლისის დამდეგამდე კლდისა და მიწის სამუშაოები მდინარის მარცხენა მხარეს მთლიანად მოათაონ, რომ მესამე კვარტალის დასაწყისიდანვე შეუდგნენ ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულებას. ქვაბანის ზღუდე, ანუ ჯებირები, რომლებიც მას მდინარისაგან იცავენ, აგებულია იმ ანგარიშით, რომ წყალდიდობამ მშენებლებს ვერ შეუშალოს ხელი.

ამ უბანზე სამუშაოებს ხელმძღვანელობს ინჟინერი დ. ორჯონიკიძე.

მდინარის მარჯვენა მხარეზე, სადაც წინათ მტკვრის შტო გადადიოდა და ორთაჭალის კუნძულს წარმოშობდა, მდინარეს სამუდამოდ გადაუღობეს გზა და შეუდგნენ სანაპირო ქუჩისათვის საყრდენი კედლის აგებას. ქვემო უბანზე კედელი კარგა მანძილზე მოთავებულია. ამჟამად მშენებლები მუშაობენ ზემო უბანზე, სადაც წყალდიდობა ხელს არ უშლის მშენებლობას.

ამ უბნის კოლექტივს უნარიანად ხელმძღვანელობს ინჟინერი ი. კახიძე.

მალე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლები შეუდგებიან რკინა-ბეტონისა და ბეტონის სამუშაოთა შესრულებას. ისინი ამთავითვე იწყებენ ბეტონის მექანიზებული ქარხნის გამართვას. ქარხნისათვის ყველა დანადგარი და მექანიზმი უკვე მიტანილია დანიშნულების ადგილზე და ამ დღეებში დაიწყებენ მონტაჟს.

ორთაჭალჰესის მშენებლებმა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. თვეების მიხედვით საკუთრივ სადგურის მშენებლებმა (საბინაო მშენებლობის გამოკლებით) იანვარში გეგმა შეასრულეს 187,8 პროცენტით, თებერვალში — 211,2 პროცენტით, ხოლო მარტში — 218 პროცენტით.

ამ წარმატებათა მოპოვებაში თავი ისახელეს ინჟინერ კვანტრიშვილის და მუშების ივანე გოჩუას და პავლე სერაკის ცვლებმა. ბრიგადებს შორის საუკეთესო მაჩვენებლები აქვს კლდეზე მომუშავე მბურღავთა იმ ბრიგადას, რომელსაც მ. კუზმენკო ხელმძღვანელობს. მბურღავებს შორის საუკეთესოს სახელი დაიმსახურა ვ. შიუკაშვილმა. მაღალი საწარმოო მაჩვენებლები აქვს პავლე ხუციანიძის კომპლექსურ ბრიგადას, რომელიც დუშეთის რაიონიდან ჩამოსული კოლმეურნეებისაგან შედგება.

ბოლო დღეებში დაწინაურდნენ და მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის გაჩაღებულ საპირველმაისო შეჯიბრებაში წარმატებებს აღწევენ მტვირთავების ბრიგადა, რომელიც თეთრი წყაროს რაიონიდან აქ სამუშაოდ ჩამოსული კოლმეურნეებისაგან შედგება (ხელმძღვანელი გიორგი აფციაური), მებეტონეთა ბრიგადა ამხ. კობერიძის ხელმძღვანელობით და დურგლების ბრიგადა ქ. ჩაიკას ხელმძღვანელობით.

მშენებლებს განუწყვეტლივ უწევენ მომსახურებას მთავარი მექანიკოსი ინჟინერი კ. პეტროსიანი, რომელიც მექანიზმების მუშაობას განაგებს, და მთავარი ენერგეტიკოსი ინჟინერი ს. კილანავა.

მრავალი ასი მაღალკვალიფიციური მშენებელი მისევია მტკვრის კალაპოტს გაღმა-გამოღმა: შეუპოვრობით და დაუმორჩილებიათ მდინარე, წაურთმევიათ მისთვის საუკუნეთა განმავლობაში ნაჩვევი დინების ადგილი, რათა აქ აღმართონ დიდი კაშხალი. ხმაურობენ ექსკავატორები, მტკვრის ყოფილი ფსკერის კლდეს ამსხვრევენ პნევმატიკური ჩაქუჩები, თვითსაცლელი ავტომობილები მუშაობენ ყამირის გადაზიდვაზე. მკაფიოდ ისახება ორთაჭალჰესის ძირითად ნაგებობათა ადგილი.

დადგა გაზაფხული, მშენებლობის სრული მასშტაბით გაშლის პერიოდი.

— არ შევრცხვებით დედაქალაქის მშრომელთა წინაშე, ისე წავიყვანთ საქმეს, რომ თბილისელებმა მადლობით აღნიშნონ — ჩინებულად უმუშავნიათ სადგურის მშენებლებსო, — ამბობს მშენებლობის უფროსი ინჟინერი გიორგი ჩოგოვაძე.

დ. ამირანიძე

სასწრაფოდ გამოვასწოროთ სავაჭრო ქსელში არსებული დამახინჯებანი

შარშან საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის ზესტაფონის განყოფილებამ ნაყოფიერად იმუშავა, რისთვისაც მიენიჭა რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშა. განყოფილებამ წელსაც კარგად დაიწყო მუშაობა. გაფართოვდა ვაჭრობის ქსელი, გაიხსნა ახალი მაღაზიები, სასადილოები და ფარდულები, გაუმჯობესდა მომხმარებელთა მომსახურება.

მიუხედავად ამ წარმატებებისა, საქვაჭრობის ზესტაფონის განყოფილების (მმართველი ო. კახიძე) მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ყველა მაღაზია და სასადილო როდი ასრულებს ვაჭრობის გეგმებს. მაგალითად, იანვარ-თებერვალში სამარცხვინოდ ჩამორჩა № 10 სამრეწველო მაღაზია, რომელმაც გეგმა მხოლოდ 56,4 პროცენტით შეასრულა. № 14 მაღაზიამ გეგმა შეასრულა 61,6 პროცენტით, № 29 მაღაზიამ—42,6, № 33 მაღაზიამ—45, № 8 სასადილომ—61, № 9 სასადილომ—55 პროცენტით და სხვ.

ვაჭრობის ზოგიერთი მუშაკი ამახინჯებს ფასებს, უხეშად ეპყრობა მომხმარებლებს.

აი რამდენიმე ფაქტი. № 6 სამრეწველო მაღაზიის თანამშრომლებმა დავარაშვილმა მოქალაქე ქ. ელაგოს მეტრ მატერიაში 15 მანეთით მეტი გადაახდევინა. № 13 სასადილოს მებუფეტეები გრ. გაწერელია და გ. გურული რამდენჯერმე შემჩნეულ იქნენ მომხმარებელთადმი უხეშ მოპყრობაში, მაგრამ სასადილოს გამგე გ. მასხულიას და საზოგადოებრივი კვების დირექტორს ა. გაწერელიას მათ მიმართ სათანადო ზომები არ მიუღიათ.

№ 23 სასურსათო მაღაზიის გამგე ნინო ხრაპაჩი მრავალჯერ იქნა შემჩნეული როგორც მომხმარებელთა უხეშ მოპყრობაში, ისე ნაცნობებისათვის პროდუქტების გადანახვაში, მაგრამ იგი დღემდე დაუსჯელად განაგრძობს მუშაობას.

საქვაჭრობის ზესტაფონის განყოფილებამ სასწრაფოდ უნდა გამოასწოროს აღნიშნული ნაკლოვანებანი.

ს. მუმლაძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ახალი საავტომობილო ხიდი

ბორჯომი. (საკ. კორ.). საქმშენის ბორჯომის კანტორამ სოფელ ახალდაბაში მდინარე მტკვარზე დაამთავრა ტროსებზე დაკიდებული ახალი საავტომობილო ხიდის მშენებლობა, რაზეც 217 ათასი მანეთი დაიხარჯა.

ხიდის მშენებლობაში აქტიური შრომითი მონაწილეობით თავი ისახელეს დიდი და პატარა ახალდაბის კოლმეურნეობის წევრებმა და ახალდაბის სახერხი ქარხნის მუშებმა.

პასუხი შეკითხვაზე

ფილიპინელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის

შეკითხვა ამხ. ზ. პაპავასი (ხაშურის რაიონი)

ფილიპინები კუნძულების ქვეყანაა წყნარ ოკეანეში. მთელი არქიპელაგი 7.000-ზე მეტი კუნძულისაგან შედგება. აქედან სახელწოდება მხოლოდ 2.441 კუნძულს აქვს. ყველაზე დიდი კუნძულებია ლუსონი და მინდანაო, რომლებსაც მთელი ტერიტორიის დაახლოებით ორი მესამედი უკავიათ. ყველა კუნძულის საერთო ფართობი 298 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენს. მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 20 მილიონია.

მეტად მრავალფეროვანია ფილიპინების ბუნება. მდიდარია ბუნების წიაღი. დიდი რაოდენობით მოიპოვება ქვანახშირი, ნავთი, ოქრო, ვერცხლი, სპილენძი და სხვ. კუნძულები შეიცავენ ჰიდროენერგიის დიდ მარაგს, რაც იძლევა მრეწველობის სწრაფი განვითარების შესაძლებლობას. მაგრამ ამჟამად არავინ ფიქრობს ფილიპინების მრეწველობაზე. ამერიკელი კოლონიზატორებისათვის სასურველია ფილიპინების სახით საქმე ჰქონდეთ ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის ქვეყანასთან.

ფილიპინების ეკონომიკის ძირითადი დარგია სოფლის მეურნეობა, რომელსაც მოსახლეობის 80 პროცენტი მისდევს. მოჰყავთ ბრინჯი, სიმინდი, შაქრის ჭარხალი, თამბაქო და სხვ. უმნიშვნელოვანესი კულტურაა ქოქოსის პალმა. ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, ჰავა და უხვმოსავლიანი ნიადაგი ხელსაყრელ პირობებს ქმნის მრავალი სახის კულტურის გაშენებისა და სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის, მაგრამ მეურნეობის ნახევრადფეოდალური სისტემა არ იძლევა ამ პირობების გამოყენების შესაძლებლობას.

ფილიპინების უხვმოსავლიანი მიწების 70 პროცენტი ამერიკელი პლანტატორებისა და ფილიპინელი მემამულეების ხელშია. უმიწო და მცირემიწიანი გლეხები იჯარით იღებენ მიწის ნაკვეთს და მოსავლის სამ მეხუთედს მემამულეს აძლევენ. მილიონობით ფილიპინელს 0,5 ჰექტარი ფართობიც არა აქვს, ამერიკელ გენერალ ბურტს კი 30 ათასი ჰექტარი ფართობი უჭირავს.

მძიმე პირობებში უხდებათ ცხოვრება ფილიპინელ მუშებს. უუფლებობა, მცირე ხელფასი, 12-14 საათი სამუშაო დღე, ანტისანიტარია, უბინაობა—აი მათი ხვედრი. მშრომელთა უმწეო მდგომარეობას მოწმობს ის ფაქტი, რომ 1950 წლის მეორე კვარტალში ფილიპინებზე სამი მილიონი უმუშევარი იყო. ჟურნალ „რიდერს დაიჯესტის" ცნობით, „მუშების 90 პროცენტს თავისი ხელფასით მინიმალურადაც კი არ შეუძლია დაიკმაყოფილოს მოთხოვნილება". ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ ცხოვრება ერთისამად გაძვირდა ომამდელთან შედარებით.

ფილიპინელი ხალხი მოკლებულია განათლების მიღების შესაძლებლობას. ოფიციალური ცნობით, მოსახლეობის 51 პროცენტზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარია. გაზეთი „მანილა ქრონიკლი" ამას წინათ წერდა, რომ სულ უფრო დიდდება მცირემცოდნეთა რიცხვი, „მოსწავლეთა დიდი ნაწილი სწავლას თავს ანებებს მეორე კლასიდან".

გაჭირვებამ და დუხჭირმა ცხოვრებამ ვერ გატეხა ფილიპინელი ხალხის ნება. ფილიპინელთა ბრძოლას დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში ფილიპინებზე ფეხი მოიკიდეს ესპანელმა კოლონიზატორებმა. ისინი 1898 წელს შეცვალეს ამერიკელმა დამპყრობლებმა.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ამერიკელთა ბატონობა შეიცვალა იაპონელთა ბატონობით. ფილიპინელმა ხალხმა გააჩაღა ბრძოლა ახალი მჩაგვრელების წინააღმდეგ. მეორე მსოფლიო ომში იაპონიის დამარცხების შემდეგ ფილიპინებს კვლავ ამერიკელი კოლონიზატორები დაეპატრონენ.

ფილიპინელ ხალხს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა არასოდეს არ შეუწყვეტია.

ფილიპინელი მშრომელები სიძულვილით იხსენიებენ აზიის ხალხთა ჯალათს გენერალ მაკარტურს, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ჩაგრავდა და ძარცვავდა მათ. მაკარტურმა ფილიპინებზე დიდი სიმდიდრე შეიძინა. იგი იქ ახლა ყველაზე დიდ მონოპოლისტად ითვლება. შემთხვევითი როდი იყო, რომ ჟურნალი „ნეიშნი" წერდა: „ფილიპინები მაკარტურის კერძო სამფლობელოს წარმოადგენენო".

როცა მაკარტური ფილიპინებს განაგებდა, მისი ადიუტანტი იყო ახლანდელი მარიონეტული მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი რომულო. ამერიკელმა იმპერიალისტებმა შექმნეს დასაყრდენი ბირთვი და მშრომელთა თვალის ასახვევად 1946 წლის 4 ივლისს გამოაცხადეს ფილიპინების „დამოუკიდებლობა". მაგრამ ეს იყო ფორმალური აღიარება, რაც იმით გამოიხატა, რომ მანილაში დიდი ხმაურით ჩამოხსნეს ამერიკის ალმები. ფაქტიურად ფილიპინები კვლავ ამერიკელ მონოპოლისტთა სამფლობელოდ დარჩა და ამერიკის იმპერიალიზმის პლაცდარმად გადაიქცა.

ფილიპინების „დამოუკიდებლობის" გამოცხადებამდე 3 თვით ადრე მიღებულ იქნა ეგრეთწოდებული „ბელის კანონპროექტი", რომელიც ითვალისწინებს ფილიპინებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის „თავისუფალ ვაჭრობას". ამ კანონით ამერიკელ მონოპოლისტებს ენიჭებათ ფილიპინელთა თანაბარი უფლება ქვეყნის ეკონომიური რესურსების ექსპლოატაციის საქმეში. ფილიპინების მთელ ტერიტორიაზე ნავთის ექსპლოატაციის უფლება 25 წლის ვადით მიეცა როკფელერის სტანდარდ ვაკუუმ ოილ კომპანიას.

ამერიკელ იმპერიალისტებს 99 წლის ვადით გადაეცათ ფილიპინების 21 სამხედრო ბაზა. გასული წლის 15 ივნისს დაიდო ახალი შეთანხმება, რომლითაც ამერიკელებს ნება ეძლევათ სულ უფრო გაადიდონ სამხედრო-საზღვაო ბაზების რიცხვი და ფილიპინები გამოიყენონ როგორც სტრატეგიული ბაზა აზიელ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის დასათრგუნავად.

ფილიპინელი ხალხის უდიდესი აღშფოთება გამოიწვია კირინოს მარიონეტული მთავრობის პოზიციამ კორეელი ხალხის მიმართ. ამერიკელ მბრძანებელთა საამებლად მარიონეტულმა მთავრობამ 1950 წლის 7 აგვისტოს მიიღო გადაწყვეტილება კორეაში ამერიკელ აგრესორთა დასახმარებლად გაეგზავნა 5.000 ჯარისკაცი და ოფიცერი. ამ გადაწყვეტილების საპასუხოდ მოქმედება გააძლიერა სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ „ხუკბონგმა", რომელმაც ლაშქრობა მოაწყო 11 ქალაქის წინააღმდეგ ლუსონის ცენტრალურ ნაწილში. „ხუკბონგის" 3 ათასმა მეომარმა მანილიდან 35 მილის დაშორებით დაიკავა ქალაქი სანტა-კრუსი. სახალხო არმიის მებრძოლებმა გაათავისუფლეს პოლიტიკური პატიმრები და 4 საათის განმავლობაში თავისუფლებაში? ინარჩუნებდნენ ამ ქალაქს.

ამ დღეებში შესრულდა ცხრა წელი ფილიპინების სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის „ხუკბონგის" შექმნიდან. წინათ ეს არმია მხოლოდ კუნძულ ლუსონზე მოქმედებდა. ახლა იგი მოქმედებს მინდანაოზე, პანაიოზე, ნეგროსზე, სებუზე და სხვა კუნძულებზეც. სწრაფად იზრდება „ხუკბონგის" მებრძოლთა რიცხვი. ათასობით ფილიპინელი პატრიოტი უერთდება სახალხო არმიას და აქტიურ მონაწილეობას იღებს განმათავისუფლებელ ბრძოლებში.

ფილიპინელი ხალხი მხარს უჭერს და ყოველმხრივ ეხმარება სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას. ეს საგონებელში აგდებს არა მარტო კირინოს მარიონეტულ მთავრობას, რომელიც იძულებული გახდა გამოეწვია კორეიდან თავისი შეიარაღებული ძალები, არამედ თვით ამერიკელ იმპერიალისტებსაც. ლონდონის გაზეთი „ტაიმსი" ადასტურებს, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ფილიპინებზე უდიდესი გაქანება ჰპოვა, სახალხო არმია სარგებლობს მოსახლეობის ფართო ფენების მხარდაჭერით. გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტის" ცნობით, პენტაგონის (ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრო) ოფიციალური წარმომადგენელნი შეშფოთებული არიან „ხუკბონგის" გავლენისა და მოქმედების გაძლიერების გამო.

ამერიკელი იმპერიალისტები დიდი რაოდენობით გზავნიან ფილიპინებზე თვითმფრინავებს, ტანკებს, ქვემეხებს. ამ ქვეყნის მდგომარეობით სხვაზე მეტად დაინტერესებულია თვით გენერალი მაკარტური, რომელსაც სურს შეინარჩუნოს თავისი სიმდიდრენი და შემოსავლის წყარო.

ფილიპინელი ხალხის ბრძოლა სრული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის სულ უფრო ორგანიზებული ხდება. ამ ბრძოლას წარმართავს ფილიპინების კომუნისტური პარტია, რომელიც განმათავისუფლებელ მოძრაობას სათავეში უდგას 1931 წლიდან.

ფილიპინების კომუნისტური პარტია გაიზარდა და მნიშვნელოვან ძალად იქცა ბრძოლებში გამოწრთობილი პატრიოტის ლუის ტარუკის ხელმძღვანელობით. კომუნისტურმა პარტიამ დაიმსახურა ფილიპინელი ხალხის თანაგრძნობა და სიყვარული. ამით აიხსნება მისი რიგების სწრაფი ზრდა.

ჩინეთის სახალხო რევოლუციის გამარჯვებამ უდიდესი გავლენა იქონია ფილიპინელ ხალხზე. ფილიპინელი მშრომელები დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს კორეელი და ვიეტნამელი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას. მარიონეტული მთავრობის ღონისძიებათა მიუხედავად, ისინი სულ უფრო გაბედულად გამოხატავენ თავიანთ თანაგრძნობას აზიის იმ ხალხთა მიმართ, რომლებიც სამართლიან განმათავისუფლებელ ომებს ეწევიან.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დარაზმული ფილიპინელი ხალხი ბრძოლით მოიპოვებს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას.

აკ. ჩავლეიშვილი

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა წინასწარი თათბირი

პარიზი, 3 აპრილი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს გაიმართა 22-ე სხდომა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირისა, რომელიც მოწვეულია საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს დღის წესრიგის შესამუშავებლად. თავმჯდომარეობდა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი დევისი.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა გრომიკომ განაცხადა, რომ მას ჯერჯერობით არაფერი აქვს დასამატებელი იმ წინასწარი შენიშვნებისათვის, რაც მან გააკეთა სამი სახელმწიფოს დელეგაციების მიერ გუშინდელ სხდომაზე შემოტანილი ახალი წინადადების გამო.

დევისმა წინადადება შეიტანა სხდომა გადაედოთ 4 აპრილისათვის.

გრომიკომ აზრი გამოთქვა ამ წინადადების წინააღმდეგ და თათბირის მონაწილეთა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ არის მთელი რიგი საბჭოთა წინადადებანი, რომლებიც ჯერ დეტალურად არ განუხილავთ. ასეთია, კერძოდ, წინადადება იმის შესახებ, რომ მინისტრებმა განიხილონ ატლანტიკის პაქტისა და ინგლისში, ნორვეგიაში, ისლანდიასა და ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში ამერიკის სამხედრო ბაზების შექმნის საკითხი. გუშინდელ სხდომაზე, თქვა გრომიკომ, ჯესეპი მხოლოდ გაკვრით შეეხო ამ საკითხს, პაროდისა და დევისს კი სრულიად არ გამოუთქვამთ თავიანთი დამოკიდებულება საბჭოთა ამ წინადადებისადმი. ჯერჯერობით სხვა შეუთანხმებელ წინადადებათა რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე სსრ კავშირის დელეგაციის წინადადება იმის შესახებ, რომ დღის წესრიგში შეტანილ იქნას იტალიასთან საზავო ხელშეკრულების იმ ნაწილის შესრულების საკითხი, რომელიც ტრიესტს ეხება. მიზანშეწონილი არ იქნება, რომ თათბირმა ბოლომდე გადადოს ამ შეუთანხმებელი საკითხების განხილვა.

საფრანგეთის წარმომადგენელი პაროდი, რომელმაც გრომიკოს უპასუხა, დღის წესრიგში ტრიესტის საკითხის შეტანის წინააღმდეგ წავიდა იმ დაუსაბუთებელი საბაბით, რომ ამ პრობლემამ თითქოს დაკარგა სიმწვავე ანუ, როგორც მან თქვა, „ამჟამად მინელდა". ამასთან პაროდიმ უგულებელყო ის ფაქტი, რომ მდგომარეობა ტრიესტში, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა უკანონოდ გადაქციეს სამხედრო ბაზად, არ შეცვლილა, და რომ, მაშასადამე, არ არსებობს საფუძველი გვერდი ავუაროთ ამ საკითხს, რომელსაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვს ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფასთან. ცდილობდა რა დაესამარებინა ტრიესტის საკითხი, პაროდიმ განაცხადა, რომ ეს საკითხი თითქოს შეიძლება განხილულ იქნას „გზადაგზა" ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა შესრულებისა და შეიარაღების დონის საკითხების განხილვის დროს.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ჯესეპმა განაცხადა, რომ დასავლეთის სახელმწიფოების დელეგაციების მიერ გუშინდელ სხდომაზე შეტანილი წინადადება მოიცავს დღის წესრიგის მთელ პროექტს, როგორც ეს დღის წესრიგი წარმოდგენილი აქვთ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის დელეგაციებს და რომ, მისი აზრით, დღის წესრიგში არ უნდა იქნას შეტანილი სხვა რაიმე საკითხი.

დევისმა გაიზიარა ჯესეპის განცხადება და თქვა, რომ დღის წესრიგის გადასინჯული პროექტი, რომელიც გუშინ სამი სახელმწიფოს დელეგაციებმა შემოიტანეს, თითქოს „ფარავს ყველა საკითხს", მათ შორის იმ საკითხებსაც, რომლებიც საბჭოთა დელეგაციამ წამოაყენა. დევისმა აზრი გამოთქვა იმის წინააღმდეგ, რომ დღის წესრიგში შეტანილ იქნას ატლანტიკის პაქტის და სხვადასხვა ქვეყნებში ამერიკის სამხედრო ბაზების საკითხი, აგრეთვე ტრიესტის საკითხი.

უპასუხა რა სამი სახელმწიფოს წარმომადგენელთა განცხადებებს იმის შესახებ, რომ მათმა გუშინდელმა წინადადებამ „უნდა დაფაროს მთელი დღის წესრიგი", გრომიკომ თქვა:

— ჩვენ ამას ვერ დავეთანხმებით. მე უკვე აღვნიშნე, რომ ამ წინადადებაში სულაც არ არის მოხსენიებული პუნქტი ტრიესტის შესახებ, თუმცა საბჭოთა დელეგაციამ, მოითხოვა რა დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანა, ჩამოაყალიბა მოტივები, რომლებიც ცხადყოფენ, თუ რატომ უნდა განიხილონ ეს საკითხი მინისტრებმა. ტრიესტის პრობლემა საკმაოდ მნიშვნელოვანი და მწვავეა, რომ განხილულ იქნას მინისტრების საბჭოს სესიაზე. ამ პრობლემას უშუალო დამოკიდებულება აქვს ევროპაში არსებულ მდგომარეობასთან და იმ საერთაშორისო დაძაბულობასთან, რომელზეც ლაპარაკია სამი სახელმწიფოს წინადადების პირველ ფრაზაში. ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის წარმომადგენლები კი ცდილობენ ყოველნაირად დაამცირონ ტრიესტის პრობლემის მნიშვნელობა. მაგალითად, პაროდი ამტკიცებდა, თითქოს ეს საკითხი „მინელდა", ე. ი. თითქოს ნაკლებად მწვავე გახდა. მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. მართალია, ერთი-ორი წლის წინათ ტრიესტზე შესაძლებელია მეტს ლაპარაკობდნენ, ვიდრე ახლა, რადგან მაშინ ამ საკითხს, კერძოდ, უშიშროების საბჭოში განიხილავდნენ ტრიესტის გუბერნატორის დანიშვნის საკითხთან დაკავშირებით. ამჟამად ტრიესტზე ნაკლებად ლაპარაკობენ, მაგრამ იქ უფრო ცოტას როდი აკეთებენ. ტრიესტში კვლავ იმყოფებიან ამერიკისა და ინგლისის ჯარები, ტრიესტს კვლავ ამაგრებენ როგორც ინგლის-ამერიკის სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზას. ცნობილია, რომ ამ საკითხის გარშემო რაღაც დიპლომატიური ფუსფუსია ლონდონში, რაღაც ვაჭრობაა გაჩაღებული. იმ დეტალებსაც რომ არ იცნობდეს ადამიანი, რომლებიც ამ ვაჭრობას შეეხება, ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ისინი, ვინც ამ ვაჭრობას ეწევა, მიდიან წინანდელი გზით—კვლავ არღვევენ იტალიასთან საზავო ხელშეკრულების იმ ნაწილს, რომელიც ტრიესტს ეხება.

ტრიესტის საკითხის არც სიმწვავე, არც მნიშვნელობა არ შემცირებულა, თქვა გრომიკომ. პირიქით, სწორედ იმიტომ, რომ რამდენიმე წლის მანძილზე ტრიესტში უკანონოდ იმყოფებიან ინგლის-ამერიკის ჯარები, ტრიესტის მდგომარეობის საკითხი უნდა განიხილოს ოთხი სახელმწიფოს მინისტრების საბჭომ.

შემდეგ გრომიკომ აღნიშნა უსაფუძვლობა პაროდის მტკიცებისა, რომ ტრიესტის საკითხის განხილვა შეიძლება დაკავშირებულ იქნას ან შეიარაღების დონის, ან ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა შესრულების საკითხთა განხილვასთან და რომ ტრიესტის საკითხის დღის წესრიგში შეტანა დღის წესრიგის „ზედმეტი დეტალიზაცია" იქნებოდა. მაგრამ ერთგვარი დეტალიზაცია დღის წესრიგში უნდა იყოს, თქვა გრომიკომ.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა უსაფუძვლობა დევისის განცხადებისა, რომ საბჭოთა წინადადება ატლანტიკის პაქტისა და ამერიკის სამხედრო ბაზების საკითხის განხილვის შესახებ თითქოს ართულებდეს თათბირის მუშაობას. ჩვენ არ დაგვიწესებია არავითარი ზღვარი დროის მხრივ წინადადებათა შემოტანისათვის, განაცხადა გრომიკომ. თვითეულ დელეგაციას, მათ შორის სსრ კავშირის დელეგაციასაც, უფლება აქვს შემოიტანოს წინადადებანი ჩვენი მუშაობის თვით უკანასკნელ დღემდე. ამერიკის სამხედრო ბაზების საკითხი ამა თუ იმ გარემოებასთან დაკავშირებით არაერთხელ ყოფილა აღძრული უშიშროების საბჭოში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში. ამიტომ ის, ვინც ცოტად თუ ბევრად გაცნობილია მდგომარეობას, ვერ უარყოფს ამ საკითხის დიდ მნიშვნელობას.

საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, რომ წინადადებანი, რომლებიც გუშინ სამი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა შემოიტანეს მთლიანად დღის წესრიგის შესახებ, მათს შინაარსს რომ ჯერჯერობით თავი დავანებოთ, ამ მხრივაც არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად იქნას ცნობილი, რადგან ორი საბჭოთა წინადადება, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპაში ვითარების გაუმჯობესებისათვის, არ არის შეტანილი სამი სახელმწიფოს დღის წესრიგის პროექტში.

როგორც ცნობილია, ამ საბჭოთა წინადადებებს ეკუთვნის—ატლანტიკის პაქტისა და ინგლისში, ნორვეგიაში, ისლანდიაში და ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში ამერიკის სამხედრო ბაზების საკითხი და ტრიესტის საკითხი. ამ წინადადებებს საბჭოთა დელეგაცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან მიაჩნია, რომ მინისტრების მიერ ამ საკითხების განხილვა ხელს შეუწყობს ოთხი სახელმწიფოს ურთიერთობის გაუმჯობესებას.

შემდეგ გამოვიდა საფრანგეთის წარმომადგენელი პაროდი, რომელმაც აღიარა, რომ თათბირს არ დაუწესებია ისეთი პროცედურა, რომელიც ხელს უშლიდეს დელეგაციებს წარმოადგინონ თავიანთი წინადადებანი თათბირის მთელ მსვლელობაში. მაგრამ მან კვლავ გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ დღის წესრიგში შეტანილ იქნას საკითხები ტრიესტის, ატლანტიკის პაქტისა და ამერიკის სამხედრო ბაზების შესახებ.

ამავე დროს პაროდის არც ერთი ოდნავ მაინც დამაჯერებელი მოსაზრება არ მოუყვანია თავისი პოზიციის დასასაბუთებლად, ამ შემთხვევაშიც მიმართა გაცვეთილ ხერხს—განაცხადა, საბჭოთა დელეგაციის მიერ ატლანტიკის პაქტისა და ამერიკის სამხედრო ბაზების შესახებ შეტანილი წინადადება „პროპაგანდისტულ მიზნებს" ისახავსო.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა პაროდის ამ განცხადების უაზრობა. ჩვეულებრივ გამოდის ასე, თქვა გრომიკომ, რომ, როცა სამი სახელმწიფოს წარმომადგენლებს არსებითად არაფერი აქვთ სათქმელი ამა თუ იმ საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ, ისინი აცხადებენ, რომ სსრ კავშირის დელეგაციას თითქოს სურს „პროპაგანდა" გასწიოს.

თავმჯდომარის დევისის წინადადებით სხდომა დაიხურა.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 3 აპრილი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობაში, რომელიც დღეს გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ ფრონტის ყველა უბანზე სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეებთან ერთად განაგრძობენ გააფთრებულ ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ და დიდ ზარალს აყენებენ მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

2 აპრილს ჯასავლეთ სანაპიროს რაიონში სახალხო არმიის ნაწილებმა ჩამოაგდეს მტრის 3 თვითმფრინავი და ჩაძირეს ერთი ხომალდი.

ამერიკელ ტყვე ჯარისკაცთა წერილები

ნიუ-იორკი, 3 აპრილი. (საქდესი). გაზეთ „დეილი უორკერის" დენვერელი კორესპონდენტი აქვეყნებს ცნობას იმის შესახებ, რომ ქალაქ ენგლვუდში (კოლორადოს შტატი) მიღებულია კორეაში ჩინელ მოხალისეთა მიერ ტყვედ წაყვანილი 23 ამერიკელი ჯარისკაცის წერილები.

თავიანთ წერილებში, წერს კორესპონდენტი, ამერიკელი ჯარისკაცები უარყოფენ ამერიკელთა პროპაგანდის ჭორებს ჩინელთა „მხეცობის" შესახებ და დიდი პატივისცემით იხსენიებენ ჩინელ მოხალისეებს. ისინი ყველანი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ჩინელი მოხალისენი მათ კარგად ეპყრობიან. საგულისხმოა ერთი ჯარისკაცის წერილი. იგი წერს: „ბანაკის უფროსი გვეუბნება, რომ ჩვენ აქ არ უნდა ვიყოთ, რომ ჩინელ და ამერიკელ ხალხს საომარი არაფერი აქვთ. მე მართლაც ვეცნობი ადამიანთა სულისკვეთებას. ისინი დაგვპირდნენ, რომ მაშინვე გაგვათავისუფლებენ, როგორც კი დამთავრდება ეს საზიზღარი ომი. ვიმედოვნებ და ვლოცულობ იმისათვის, რომ ეს დრო მალე დადგეს. ჩინელები საუკეთესო ადამიანები არიან, რომლებიც კი მე ოდესმე მინახავს. ისინი ჩვენ კარგად გვეპყრობიან, ბევრ თეთრეულსა და ტანსაცმელს გვაძლევენ; ისინი გვიმტკიცებენ, თუ რამდენად შემცდარი ვიყავით, როდესაც კორეაში მოვედით. მე მართლაც ბევრ რამეში ვერკვევი".

ამერიკის შეერთებულ შტატებში უკმაყოფილო არიან ტრუმენის საგარეო პოლიტიკით

ნიუ-იორკი, 3 აპრილი. (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ჰონოლულუდან იუწყება, იქ მიმდინარეობს ამერიკის შეერთებული შტატების ნავსადგურების მტვირთავთა და საწყობების მუშათა პროფკავშირის მე-9 ყრილობა. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას იღებს 500 დელეგატი.

თავის მოხსენებაში ყრილობაზე პროფკავშირის ხელმძღვანელობა გმობს ამერიკის აგრესიას კორეაში და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ბრალად სდებს, რომ იგი ახორციელებს პოლიტიკას, რომელიც „უდიდეს საფრთხეს უქმნის მშვიდობას მთელ მსოფლიოში".

„მთელი მსოფლიოს ხალხები,—ნათქვამია მოხსენებაში,—შეძრწუნებული არიან, თვალს არ უჯერიან, როცა ხედავენ იმას, რაც კორეაში ხდება". ჩვენ ვჟლეტთ აზიის ხალხებს, ხოლო ისინი კლავენ ჩვენს ჯარისკაცებს, რომლებიც 5 ათასი მილით არიან დაშორებული თავიანთ სახლს. მერე რისთვის?".

გმობს რა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას, პროფკავშირის ხელმძღვანელობა აღნიშნავს, რომ შეერთებული შტატები მხარს უჭერენ ინგლისელებს მალაიაში, დახმარებას უწევენ ჩან კაი-შის და მხარს უჭერენ საფრანგეთის ბინძურ ომს ინდო-ჩინეთში. ევროპაში ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე ერთგული მოკავშირეები არიან ყოფილი ნაცისტები გერმანიაში, ფრანკოს ესპანეთი და რეაქციული საბერძნეთი.

გაიხსნა იტალიის კომუნისტური პარტიის VII ყრილობა

რომი, 3 აპრილი. (საქდესი). დღეს რომში გაიხსნა იტალიის კომუნისტური პარტიის VII ყრილობა. ყრილობას ესწრება 750 დელეგატი, აგრეთვე მრავალი სტუმარი — საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, კულტურის მოღვაწენი, რომის დემოკრატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები. ყრილობის მონაწილენი გულთბილად მიესალმნენ პალმირო ტოლიატის მეთაურობით იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელთა გამოჩენას პრეზიდიუმში.

კომპარტიის გენერალური მდივნის მოადგილე პიეტრო სეკია ყრილობას გახსნილად აცხადებს. მოკლე შესავალ სიტყვაში სეკია შეეხო კომპარტიის მიერ თავისი 30 წლის არსებობის მანძილზე განვლილ ისტორიულ გზას. მის სიტყვას, რომლითაც მან ჯანმრთელობა უსურვა მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადს, მშვიდობის მედროშეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს, ყრილობის მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ. დელეგატები და სტუმრები ფეხზე დგებიან და ხანგრძლივ ოვაციას მართავენ ამხანაგ ი. ბ. სტალინის პატივსაცემად. გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს სტალინს!", „გაუმარჯოს ბოლშევიკების პარტიას!", „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!".

ყრილობის მონაწილენი გულმხურვალედ მიესალმნენ აგრეთვე კორეელ და ჩინელ ხალხებს, რომლებიც იბრძვიან ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიის წინააღმდეგ, მიესალმნენ აგრეთვე მსოფლიოს ყველა მოძმე კომუნისტურ და მუშათა პარტიას.

დამსწრეთა ტაშის გრიალში ირჩევენ ყრილობის პრეზიდიუმს. სცენაზე პრეზიდიუმის მაგიდასთან ადგილს იკავებენ ყრილობაზე ჩამოსული უცხოეთის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები — საფრანგეთის კომპარტიის წარმომადგენლები ანდრე მარტის მეთაურობით, უნგრეთის მშრომელთა პარტიის წარმომადგენლები პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის იშტვან კოვაჩის მეთაურობით, ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის კომპარტიის წარმომადგენლები პარტიის გენერალური მდივნის ვიდალის მეთაურობით, ავსტრიის კომპარტიისა და შვეიცარიის შრომის პარტიის წარმომადგენლები.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლებს, გარდა უნგრეთის მშრომელთა პარტიისა, იტალიის მთავრობამ უარი უთხრა იტალიაში შესასვლელი ვიზების მიცემაზე.

კომპარტიის რომის ფედერაციის მდივანი ნატოლი ყრილობის მონაწილეებს მიესალმა ქალაქ რომის და რომის პროვინციის 100.000 კომუნისტისა და დედაქალაქის მთელი დემოკრატიული მოსახლეობის სახელით. სოციალისტური პარტიის გენერალური მდივნის მოადგილემ როდოლფო მორანდიმ მხურვალე სალამი გადასცა იტალიის კომუნისტებს 700.000 იტალიელი სოციალისტის სახელით. მორანდიმ აღნიშნა, რომ რეაქციის ყოველგვარი ზრახვა უძლურია იტალიის მშრომელთა და ამ ორი პარტიის წინააღმდეგ, რომელთა კავშირიც განმტკიცებულია ურღვევი პაქტით ერთიანი მოქმედების შესახებ, რაც მშვიდობისა და იტალიის პროგრესისათვის ბრძოლის ბურჯია.

ქალაქ ბოლონიის მერმა ჯუზეპე დოცამ, რომელიც ყრილობას თავმჯდომარეობს, განაცხადა, რომ ყრილობის მისამართით მიღებულია მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან.

მისალმებაში ნათქვამია:

იტალიის კომუნისტური პარტიის მეშვიდე ყრილობას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ძმურ სალამს უძღვნის იტალიის კომუნისტური პარტიის—იტალიის მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა მოწინავე რაზმის VII ყრილობას და უსურვებს იტალიის კომპარტიას შემდგომ წარმატებებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ყველა დამსწრე ფეხზე დგება და მქუხარე ოვაციას მართავს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პატივსაცემად.

ყრილობის დღის წესრიგის გამოცხადების შემდეგ თავმჯდომარე მოხსენებისათვის დღის წესრიგის პირველ პუნქტზე — „იტალიელი ხალხის ბრძოლა მშვიდობისათვის, შრომისა და თავისუფლებისათვის" — სიტყვას აძლევს კომპარტიის გენერალურ მდივანს პალმირო ტოლიატის.

„მშვიდობის ლაშქრობა" ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 3 აპრილი. (საქდესი). „მშვიდობის ლაშქრობა", რომელიც 1 აპრილს დაიწყო მთელ ჩეხოსლოვაკიაში, გადაიქცა მშვიდობის დაცვისათვის, ახალი ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ ჩეხოსლოვაკი ხალხის მძლავრ დემონსტრაციად.

ოსტრავაში პირველ დღეს „ლაშქრობაში" მონაწილეობას იღებდა 11,5 ათასი კაცი. სტალინის მოედანზე დაწყებული მსვლელობის მონაწილეებმა მთელ ქალაქში და მის გარეუბნებში ჩაიარეს ლოზუნგებით, რომლებიც მოუწოდებდნენ მშვიდობის პაქტის დადებისაკენ, დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

პრაღაში „მშვიდობის ლაშქრობა" ზეიმით დაიწყეს გუშინ ქალაქის პირველი რაიონის მშრომელებმა. მალოსტრანის მოედანზე თავი მოიყარა 12 ათასზე მეტმა კაცმა.

ხანმოკლე მიტინგის შემდეგ დაიწყო მსვლელობა. კოლონების წინ მიდიოდნენ პრემიერ-მინისტრის მოადგილე სვობოდა, პრაღის პრიმატორი ვაცეკი და ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა გამოჩენილი წარმომადგენლები.

„მშვიდობის ლაშქრობა" გრძელდება.

მ შ ვ ი დ ო ბ ი ს პ ა ქ ტ ი ს ა თ ვ ი ს!

იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება

რომი, 3 აპრილი. (საქდესი). იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე, რომელიც მილანში გაიმართა, ერთსულოვნად მიღებულ იქნა რეზოლუცია ხუთი დიდი სახელმწიფოს თათბირის მოწვევის მოთხოვნის მხარდასაჭერად. იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ნათქვამია რეზოლუციაში, „ეთანხმება მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის იტალიის კომიტეტის წინადადებას მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებათა საფუძველზე მშვიდობის პაქტის დადების მოთხოვნის მხარდასაჭერად ფართო კამპანიის განხორციელების შესახებ". იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პარტიის ყველა წევრს იმ დემოკრატიულ ორგანიზაციებთან ერთად, რომლებიც მშვიდობის მომხრეებთან თანამშრომლობენ, განახორციელონ საქმიანობა, რასაც მიზნად ექნება „მოეწყოს იტალიაში რეფერენდუმი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვის გამო. ეს რეფერენდუმი ხელს შეუწყობს მშვიდობის ძალების ფრონტის შემდგომ გაფართოებას, რაც გზას გადაუღობავს ომის გამჩაღებლებს".

ჩინური გაზეთი ვიეტნამის სახალხო არმიის გამარჯვებათა შესახებ

შანხაი, 3 აპრილი. (საქდესი). ვიეტნამის სახალხო არმიის მიერ ამას წინათ წითელი მდინარის შესართავის რაიონში მოპოვებული გამარჯვებისადმი მიძღვნილ მოწინავე სტატიაში გაზეთი „სინვენჟიბაო" წერს:

ვიეტნამის სახალხო არმიის ამ გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან წითელი მდინარის ხეობა წარმოადგენს ერთგვარ კორიდორს ერთი მხრივ ხაიფონგ-ხანოისა და ლაო-კაების რაიონებსა და მეორე მხრივ ჩრდილოეთ ვიეტნამის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ რაიონს შორის, რომელსაც საფრანგეთის ჯარები ინარჩუნებენ. ამჟამად ვიეტნამის შემტევი სახალხო არმიის მეწინავე ნაწილები მხოლოდ 20 კილომეტრით არიან დაშორებული ხაიფონგს. სახალხო არმიის გამარჯვებამ სერიოზული საფრთხე შეუქმნა ფრანგი იმპერიალისტების ჯარებს ვიეტნამში.

მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში

მ. ბოტვინიკ — დ. ბრონშტეინის მატჩი

მატჩის მე-9 პარტია, რომელიც 3 აპრილს გათამაშდა, გადაიდო ორივე მხარისათვის მწვავე პოზიციაში. ბოტვინიკს მნიშვნელოვანი მატერიალური უპირატესობა ჰქონდა—ზედმეტი ფიგურა პაიკის წინააღმდეგ. მაგრამ შავების სამი ერთმანეთთან დაკავშირებული გამვლელი პაიკი საკმაო კომპენსაციას აძლევდა ბრონშტეინს. დაუმთავრებელი პარტიის ანალიზმა ცხადყო, რომ თეთრებს არ მოეპოვებოდათ გამარჯვების რეალური შანსი. ამიტომ, პარტიების დაუმთავრებლად, დილით 4 აპრილს ბოტვინიკმა ყაიმი შესთავაზა მოწინააღმდეგეს. ბრონშტეინი დათანხმდა ამ წინადადებაზე. მატჩის ანგარიში გახდა 5:4 ბოტვინიკის სასარგებლოდ.

მატჩის მე-10 პარტია გათამაშდება 6 აპრილს. (საქდესი).

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორიუმი

1951 წლის აპრილში მოეწყობა შემდეგი მოხსენებანი: 12-IV — დოცენტი ა. ლეჟავა — „ონტოგენეზში ქსოვილთა განვითარების ზოგიერთ კანონზომიერებათა შესახებ"; 17-IV — პროფესორი ნ. იაშვილი — „კოლხეთის მელიორაციის ეკონომიური მნიშვნელობა"; 21-IV — დოცენტი გ. ზარდალიშვილი—„ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმა"; 24-IV—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ნ. ბერძენიშვილი—„აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან"; 28-IV—დოცენტი ქ. ფალავა — „დიდი აზერბაიჯანელი პოეტი ნიზამი".

სხდომები გაიმართება № 93 აუდიტორიაში, დასაწყისი 3 საათზე. დასწრება თავისუფალია.

„მარინე" ჭიათურის სახელმწიფო თეატრში

ჭიათურა. (საქ. კორ.). აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მორიგ პრემიერად უჩვენა მ. ბარათაშვილის „მარინე". სპექტაკლში მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ სახალხო არტისტი თ. აბაშიძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ნ. სიხარულიძე, გ. ნუცუბიძე და სხვ.

სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა რეჟისორმა გრ. ტყაბლაძემ, გააფორმა მხატვარმა მ. აბჯანდაძემ.

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

5-10 აპრილს, დღის 3 საათიდან სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება აწყობს სტუდენტთა XIII სამეცნიერო კონფერენციას, მიძღვნილს საბჭოთა საქართველოს 30 წლისთავისადმი.

პლენარულ სხდომებსა და სექციების სხდომებზე სულ მოსმენილი იქნება 157 მოხსენება.

მენდელეევის საზოგადოებაში

შაბათს, 7 აპრილს, საღამოს 7 საათზე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის აუდიტორიაში შედგება მენდელეევის სახელობის სრულიად საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს განყოფილების წევრთა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1. ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (პროფესორი ვ. კაკაბაძე); 2. სარევიზიო კომისიის ანგარიში (დოცენტი დ. გვარამაძე); 3. განყოფილების მუშაობის გეგმა და მორიგი ამოცანები (პროფესორი ნ. ციციშვილი); 4. ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

ლ ე ქ ც ი ე ბ ი

6 აპრილს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს სსრ გეოგრაფიულ საზოგადოებაში (ცეცხლაძის ქ. № 11) საჯარო სხდომაზე ლექციებს წაიკითხავენ: დ. უკლება—„რუსი მეცნიერების როლი კორეის შესწავლაში", გ. ზარდალიშვილი—„ალექსანდრე დადეშქელიანი—კორეის გეოგრაფიის ავტორი 1880-1884 წ.".

ლექციების შემდეგ ნაჩვენები იქნება კინოფილმი „ჩრდილოეთ კორეა".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1571 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

6 აპრილს

6.45 — ვალსები კინოფილმებიდან. 9.20—რუმინული სიმღერები. 10.30 — ნაწყვეტი ბელიაშვილის რომანიდან: „თავგადასავალი ზესიკო გაბაშვილისა". 18.10 — ქართველ კომპოზიტორთა რომანსები და სიმღერები. 18.30—გადაცემა მოსწავლეთათვის. 19.00 — საუბარი: ახალგაზრდა მეშახტეთა სამაისო შეჯიბრება. 19.15 — კონცერტი საბჭოთა კომპოზიტორების კამერული ნაწარმოებებიდან. 20.30—ქართული მუსიკის კონცერტი მოსკოვისათვის. 20.50 — ნაწყვეტები ვ. დოლიძის ოპერიდან „ქეთო და კოტე". 21.10 — ლექცია: მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობების შესახებ. წარმოების სამი თავისებურება. 22.40 — საუბარი: „ჩინეთის თანამედროვე ლიტერატურა". 23.00 — ქართული ხალხური სიმღერები. 24.00 —გუნოს ბალეტი „ვალპურგიის ღამე".

დ ღ ე ს კ ი ნ ო ე ბ შ ი

რუსთაველის სახელობის, „ოქტომბერი", „ისანი", 26 კომისრის სახელობის—„კატალინა კიშის ბედნიერება"; **„დიდუბე"**—„განწირულთა შეთქმულება"; **„კომკავშირელი", „კოლხიდა"**—„საჯარიმო მოედანი"; **„ამირანი"**—„ცის ნელმავალი"; **„სპარტაკი"** — „ბერლინის დაცემა" (I-II სერია); **„თბილისი"** — „მოუხელებელი იანი"; **„კოლმეურნე"** — „დარიკო" (ქართული ვარიანტი); **„ქრონიკა"**—„ზღაპარი თევზისა და მებადურის შესახებ".

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი აცხადებს, რომ 1951 წლის 17 აპრილს, დღის 2 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სასხდომო დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე **მიხეილ მამედის-ძე ტრაპში** ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„კულანურხვის სამაროვანი"**.

ოფიციალური ოპონენტები: ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გ. გოზალიშვილი**, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი **გ. გობეჯიშვილი**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული) სამუშაო საათებში.

1951 წლის 9 აპრილს, საღამოს 7 საათზე, მასწავლებელთა სახლში (ქ. თბილისი, ფურცელაძის ქუჩა, № 3) შედგება **საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში შეტანილი მომგებიანი ანაბრების მოგებათა მორიგი მე-17 ტირაჟი.**

ტირაჟში მონაწილეობას მიიღებს მეანაბრეთა ყველა ანგარიში, რომლებზეც ტირაჟის დღისათვის ირიცხება მომგებიანი ანაბრების ნაშთი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო

დ ღ ე ს თ ე ა ტ რ ე ბ შ ი

ოპერისა და ბალეტის—„ბორის გოდუნოვი" (მე-11 აბ. მ. რეიზენის მონაწილეობით); **რუსთაველის სახელობის**—„ნ. ბარათაშვილი"; **მარჯანიშვილის სახელობის**—„მარინე"; **გრიბოედოვის სახელობის** — „ბრძოლა სიცოცხლისათვის" (მე-11 აბ.); **სომხური დრამის**—„ოქროს ქალაქი"; **მუსიკალური კომედიის**—„სიმღერა სიყვარულზე"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—„მარსელელი ბიჭები" (68-ე აბ. 7 საათზე); **მოზარდ მაყურებელთა რუსული**—„მისი მეგობრები" (47 აბ. 4 საათზე); **სახკულტურის**—„საპატიო სტუმარი"; **სახელმწიფო ცირკი**—დიდი საცირკო წარმოდგენა.

მოქალაქე **შამილ პეკოვის-ძე როზენფელდმა**, მცხოვრებმა ორმაღელის ქ. № 66, აღძრა საქმე კნოლევის ქ. № 60 მცხოვრებ მოქალაქე **ლუბა მიხეილის ასულ ნოვგოროდოვა-როზენფელდთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მედმომარაგების და სამკურნალო წარმოების მუშა-მოსამსახურეები თანაგრძნობას უცხადებენ ნ. გვენეტაძეს მისი მამის **ივანე ესტატეს-ძე კაკელაშვილის** გარდაცვალების გამო. გამოსვენება 5-IV, 5 ს. რუსთაველის, 4.

დედა მაშო, და ქეთო, ძმა შალვა, რძლები, ლუბა, ტანია, მამიდები თამარ, სოფიო, მაშურა, ბიძა თედო, ბიძაშვილები ნინო, ვასო, არჩილ დოლიძეები, მამიდაშვილი ლეილა მესხიშვილებით იუწყებიან **თინა დავითის ასულ დოლიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-IV, ქ. მახარაძეში.

შ. მარინაშვილი, გ. დათუაშვილი, ბ. ჯანპოლადოვი, ე. არუთინოვა, მ. თორგომიანი, ქ. რობიტაშვილი, მ. ჩარკვიანი, მ. მჭედლიძე, ბ. ბაბალ-ოღლი, ზ. ალექსიძე, ე. ჩხაიძე თანაგრძნობას უცხადებენ ა. აფხაზავას მისი დედის **მარიამ მაქსიმეს ასულ აფხაზავას** გარდაცვალების გამო.

ი. შენგელია, მ. ალიხანოვა, პ. მეტრეველი, ი. თაქთაქიშვილი, ლ. ტუხაშვილი, მ. ბრეგვაძე, ე. კუპუნიძე, გ. დავითაშვილი, დ. ასათიანი, მ. აბრამოვა, მ. მეგრელიშვილი, ნ. ჩომახია თანაგრძნობას უცხადებენ ნ. იობაშვილს მისი ძმის **გიორგის** გარდაცვალების გამო.

ქ. ციმაკურიძე, ლ. ფირცხალაძე, ი. მიქელაძე, გ. ლოლობერიძე, ვ. ბეჟანიშვილი, გ. აბულაძე, ი. მესხი, ი. ბახტაძე, ნ. პეტროვი, ს. ივიტიანი, ა. ჯღარკავა, ბ. დოლიძე, პ. შენგელია, ნ. სანაძე, ნ. გეგელია თანაგრძნობას უცხადებენ ა. ლავთაძეს მისი დედის **ალექსანდრას** გარდაცვალების გამო.

გ. გამყრელიძე, ლ. კარბელაშვილი, ე. პაპავა, ე. პურპულაძე, ლ. კალოიანი, ე. ზაქარიაძე და შ. ჯათუსანი თანაგრძნობას უცხადებენ შ. ბერაძეს მისი მამის **ფილიპეს** გარდაცვალების გამო.

ნ. ქოიავა, ი. მიქელაძე, ა. იაწყირელი, ნ. ტყეშელაშვილი, ა. გოკიელი, კ. გაბუნია, ვ. ჩანტლაძე, ქ. ნიკოლაიშვილი, გ. გურგენიძე, შ. გოგებაშვილი, ე. ქორჩაკიძე თანაგრძნობას უცხადებენ შ. ბერაძეს მისი მამის **ფილიპე ბერაძის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ველატა, შვილები შალვა, ქსენია, რძალი ანიკო კაკაბაძეები, სიძე ს. როდონაია, შვილიშვილები ნათელა, ანზორ, ზაური, ვახტანგ იუწყებიან **თეიმურაზ გიორგის-ძე კაკაბაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-IV, ს. ხეთაში.

სუფსის სოფლის კოოპერატივის თანამშრომლები იუწყებიან **აპოლონ ნიკიფორეს ძე ლომაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-IV. სუფსაში (ლანჩხუთის რ.).

შვილი დავით, რძალი ელენე მჭედლიშვილება, შვილიშვილი გივი მხეიძე იუწყებიან **მარიამ ნიკოლოზის ასულ მჭედლიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 5-IV, 6 ს. კალინინის, 35.

დედა პელაგია, და რებეკა, სიძე ვლადიმერ, დისწულები ჯოდო, ჯუმბერ დვალები იუწყებიან **ლუბა პარმენის ასულ მამფორიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-IV, ს. შუამთაში (ვანის რ.).

ნ. ბახტაძე, გ. ჩხობაძე, ბ. ოდიშელიძე, ქ. კორძაძე, ნ. მაჭარაშვილი, ნ. ბერძენიშვილი, თ. კახაძე, ნ. ოდილავაძე, ე არჯევანიძე, ს. სინჯარაძე თანაგრძნობას უცხადებენ ე. ლავთაძეს მისი დედის **ალექსანდრა ტარიელის ასულ ლავთაძის** გარდაცვალების გამო.

თ. და ა. მუმლაძეები, ა. ჯანმირზაევი, ნ. და მ. ზუბიაშვილები, ლ. და პ. ქაჯაიები, ნ. და ნ. მიქელაძეები, გ. და ნ. მაქაძეები, მ. და ს. არეშიძეები, ბ. გიგინეიშვილი, ალ. ქაქუჩაია, ა. სიმონიანი, გ. დანელია იუწყებიან **გიორგი სამსონის-ძე იობაშვილის** გარდაცვალებას.

ქ. ჯაფარიძე, ნ. დადიანი, დიდებაშვილი, კ. ადამია, ქ. კუკასიძე, ლ. ურთმელიძე, თ. ხაშიფოვა, თ. ჩოფიკაშვილი, ნ. ასატუროვა, ქ. მამფორია, ი. სეკერინი, მ. ჯალი თანაგრძნობას უცხადებენ ე. ლავთაძეს მისი დედის **ალექსანდრას** გარდაცვალების გამო.

გ. ბაქრაძე, ვ. ყიფიანი, ს. მებუკე, ქ. ჩიმაკაძე, გ. კაპანაძე, ი. ბედია, ბ. ლაშხი, ნ. ღუმბაძე, ე. ბეროშვილი, ლ. ტორონჯაძე, ე. გუნავა, ლ. გვათუა თანაგრძნობას უცხადებენ ე. ლავთაძეს მისი დედის **ალექსანდრა ლავთაძის** გარდაცვალების გამო.

თბილისის ქალთა 27-ე საშუალო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს თ. უსეინაშვილს მისი დედის **ეკატერინე უსეინაშვილის** გარდაცვალების გამო.

ე. ზარაფიდი, მ. საყვარელიძე, ა. შირინა, ი. ჩუბინიძე, ა. ნატროშვილი, ე. მიშიაშვილი, თ. შარაშიძე, ე. ბაბალოვა, პ. მასხარაშვილი, ი. მაჭავარიანი, ს. ოგანესიანი, კ ლოლობერიძე თანაგრძნობას უცხადებენ ნ. იობაშვილს მისი ძმის **გიორგი სამსონის-ძე იობაშვილის** გარდაცვალების გამო.

ს. ალექსიშვილი, თ. ურუშაძე, ი. დოლიძე, გ. მღვიმარაძე, ი. ნემსაძე, თ. ერაძე, მ. ზამთარაძე, ნ. ურიდუა, ნ. ბაბაევი, ქ. ზაქარიაძე, თ. ჩუმაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ე. ლავთაძეს მისი დედის **ალექსანდრა ტარიელის ასულ ლავთაძის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 8 08 67, სამდივნოსი — 8 06 88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—8 81 84, სასოფლო სამეურნეოსი — 8 57 61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 8 80 83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 8 80 84, მშრომელთა წერილების — 8 73 24, მორიგისა და გამომშვების — 8 81 65, გამომცემლობისა — 8 51 81, სტამბის დირექტორის — 8 77 70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 01577